# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  პარასკევი 27 ნოემბერი 1998  №217 (752)  ფასი 50 თეთრი


# ლევან დოლაბერიძემ ორი პენალტი მოიგერია
# დინამო წლეულსაც უთასოდ დარჩა
## გია მეგრელაძის ოქროს გოლმა კოლხეთი შეიწირა

ჩემპიონატის პირველი ოთხეული. ორი ...ვილი და კანონზომიერი, მაგრამ მაინც, ...რი სენსაცია. ორ დასავლურ მატჩში 9 ...ლი და ორ აღმოსავლურში არცერთი, ...მაგიეროდ, ცხადია, პენალტები.

„დინამომ" თასის მოგების შანსი წლეულს ...დაკარგა. სამაგიეროდ, ჯერაც საქმე... მისი ბოლო მფლობელი „ბათუმი".

„ტორპედომ" კი რაოდენ მოულოდნელა...ც დაიწყო, იმგვარადვე გააგრძელა და ...ასრულა „კოლხეთთან" პაექრობა.

დინამოელები წლეულს უკვე მესამედ ...იქნენ დასამშვიდებელნი — ჯერ 26 მა...ს ფინალში, მერე სუპერფინალში და ...ლა გუშინ — პენალტების ლატარია ...ლოკომოტივმა" რომ მოიგო. გამარჯვე...ული მარტო იღბალს არ გამოუვლენია. ...წინასწარვე ნაფიქრის უნაკლოდ ასრუ...ება იყო. რკინიგზელთა თავკაცმა ...მურ მახარაძემ 118-ე წუთზე კარგად ...თამაშე მეკარე დავით ჯანელიძე ორი ...ნალტის უკუმგდებ ლევან დოლაბერი...თ შეცვალა.

ლოკომოტიველებმა მწვრთნელის ...გონებანი შეისმინეს და საქმე ჯერ და...ტებით დრომდე, მერე კი პენალტება...ე მიიყვანეს.

ფოთში 1:3 წაგებით ქუთაისელებს მე...თხედფინალში გასვლის იმედი არ დაუ...რგავთ, და კარგადაც დაიწყეს თამაში ...ზურაბ იონანიძის დუბლით და დავით ...ნაშიას გოლით 3:0 იგებდნენ, მაგრამ ...თელი ჯონი კალანდაძის ზუსტმა და...ტყმამ საბოლოო გამარჯვებულის გა...სავლენად ქუთაისშიც დამატებითი ...რო გახადა საჭირო. აქაც შემცვლელმა, ...ა მეგრელაძემ ივარგა, ბურთთან პირ...ლივე შეხება „ოქროს გოლად" აქცია და ...რვედფინალში „ტორპედო" გაიყვანა. ...ორპედოს" რას ვერჩით, ალავერდი ...დერა-ციასთან: ორმატჩიან ბრძოლა... „უეცარი სიკვდილი" უადგილო ჩანს.

[illegible] ფოტოები





გუშინ ვაკეში: „ლოკომოტივი" — „დინამო".
ლევან დოლაბერიძემ მწვრთნელ თემურ მახარაძეს გაუმართლა, 118-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ორი დინამოელის, ცქიტიშვილისა და დიდავას თერთმეტმეტრიანები უკუაგდო და „ლოკომოტივი" მეოთხედფინალში გაიყვანა

## საქართველოს თასი
### მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

19 ნოემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 2 |
| დილა | 0 |
| პირველი მატჩი 2:1 | |
| სამგურალი | 2 |
| იბერია | 1 |
| პირველი მატჩი 1:1 | |
| სიონი | 1 |
| გორდა | 4 |
| პირველი მატჩი 0:0 | |
| ოდიში | 1 |
| მერანი | 0 |
| პირველი მატჩი 0:3 | |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| თსუ | 0 |
| პირველი მატჩი 2:2 | |
| არსენალი | 4 |
| კოლეჯი | 0 |
| პირველი მატჩი 1:1 | |

26 ნოემბერი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| დინამო | 0 |
| პირველი მატჩი 0:0 | |
| ტორპედო | 4 |
| კოლხეთი | 1 |
| პირველი მატჩი 1:3 | |

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## ჩეხეთი 81:74 საქართველო

25 ნოემბერი. ოპავა. პირველი ტაიმი 32:42

# სტეფანია რომ მიდიოდა, ზიდეკი მოდიოდა

...განახლდა ევროპის ჩემპიონატის შესა...ევი ციკლი და შესაბამისად, ქართველ ...ლათბურთელთა წარუმატებელი გამო...ლა წლევანდელ გათამაშებაში. მორი...მარცხი განიცადა საქართველოს ნაკ...ებმა — მან ამჯერად ჩეხეთში, იქაურ ...ოვნულ გუნდთან წააგო და ერთადერთ ...ვემად 28-ში შვედებთან შეხვედრაში ...მარჯვება დაგვიტოვა.

...დამარცხება, რომელიც ქართველებმა ...ავაში, ჩეხეთთან „გამოჭედეს", უბრა...ოდ რომ ვთქვათ, ღირსეულია. ყველა... ოპტიმისტი გულშემატკივარიც ვერ ...ინასწარმეტყველებდა, ჩვენები მხოლოდ ...შვიდი ქულით წააგებენო, მით უფრო, ...ომ ამ გუნდების თბილისური მატჩიც ...ახსოვდა. მაშინ ხომ ჩეხთა აყლაყუდა ...ქრებმა ქართველები ყველა კომპონე...ტში დაჩაგრა (თანაც, მაშინ სტეფანიაც ...ყავდა), გათამაშების სტარტზევე მწა...რე დამარცხება გვაგემა და მოსალოდნე...ლიც იყო, რომ არც იქ დაგვაყრიდა კარგ დღეს.

მიუხედავად ამისა, ახლა, როცა ჩეხუ...რი ბატალიები უკან მოვიტოვეთ, უკვე შეიძლება ცივი გონებით განვსაჯოთ გუ...შინწინდელი შეხვედრა, რომელზეც დღეს მხოლოდ მატჩის ოქმის მიხედვით ვისა...უბრებთ, ხოლო თვითმხილველების ნა...ფიქრ-ნააზრევს ნაკრების დაბრუნებისთა...ნავე, „სარბიელის" უახლოეს ნომერში გა...ახლებთ.

უეჭველია, დამარცხების ერთ-ერთ (თუ უმთავრესად არა) მიზეზად უსტეფანიო...ბაც დასახელდება. ამის მთქმელი მართა...ლიც იქნება — ჩეხმა ზიდეკმა, რომლის მეურვეობაც, ბუნებრივია, სტეფანიას და...ეკისრებოდა, ქართველები უმოწყალოდ მუსრა. იგი 34 ქულით იმ დღეს საუკე...თესო იყო მოედანზე და ფარზე ბრძო...ლაშიც ბადალი არ ჰყავდა. ზიდეკმა სულ 17 მოხსნა მიითვალა, ერთით მეტი, ვი...დრე ნაცვლიშვილმა, ჯაფარიძემ, ბოისამ და ბერძენიშვილმა ერთად. გამოდის, რომ ფარი პირწმინდად დავთმეთ, რაც უსტე...ფანიობას უფრო თვალნათლივს ხდის, თუმცა ხელაღებით იმის თქმა, ვოვა რომ ყოფილიყო, მოვიგებდითო, გაუმართლე...ბელი იქნება, რადგან ზიდეკი საკმაოდ მაღალი დონის კალათბურთელია და თა...ვის დროზე „დენვერში" პროფესიულ დო...ნეზეც უბურთავია. თუ იმასაც გავიხსე...ნებთ, რომ ამ სკოლის გავლას სტეფანია ახლაღა ეშურება, ასე გამოვა: შენ რომ მიდიოდი, მე მოვდიოდიო. აქედან გამომ...დინარე, დამარცხების მიზეზად მარტო სტეფანიას მიჩნევა მცდარი აზრია და მე...ტი არაფერი.

იხილეთ მეათე გვერდი

# რამდენი მწვრთნელი ჰყავდა საქართველოს ნაკრებს დუბლინში?

## უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, რომელიც, ცხადია, არც უნდა წამოჭრილიყო

ერთი კვირა გავიდა ირლანდიაში, მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში რუმინელთაგან ქართველების ძლევის შემდეგ და ამ ხნის მანძილზე რაგბის მოყვარულთა და არა მხოლოდ მათ შორის დამკვიდრდა აზრი, რომ ის თამაში შემთხვევით არ წაგვიგია, ყველაფერი ლოგიკურად მოხდა, შემთხვევითი ის იქნებოდა, ბორჯღალოსნებს რომ მოეგოთ. რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენში არანაირი პირობა არ არის რაგბის ნორმალურად სათამაშოდ.

იმიტომ, რომ ჩვენგან განსხვავებით რუმინეთში ბავშვებს სკოლაში ასწავლიან რაგბის თამაშს.

იმიტომ, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე სამარცხვინოა, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა კი უსუსურად ირჯება ვითარების გამოსასწორებლად.

იმიტომ, რომ მორაგბეებს თუნდაც ერთი საკუთარი სტადიონი არ გააჩნიათ.

იმიტომ, რომ უმნიშვნელოვანესი მატჩების წინ ეროვნული ნაკრების წევრთ სტადიონზე არ უშვებენ სავარჯიშოდ. ვერც ეს პრობლემა მოაგვარა რაგბის კავშირმა.

ჰოდა, რადგან ასეა, მართლაც საკითხავია, რატომ უნდა მოგვეგო რუმინელთათვის? მხოლოდ ნიჭისა და გენის წყალობით? არა, ბატონებო. უნიჭო და უგენო არავინაა ამქვეყნად. მარტო მონდომებით კი ფონს ვერ გავალთ.

მაგრამ წაგება რომ გვტკივა... გვტკივა ყველაფერის მიუხედავად და ჯერაც ვერ მოგვინელებია. სპორტის დეპარტამენტში გუშინ გამართული პრესკონფერენციაც ერთი კვირის წინანდელ მოვლენებს მიეძღვნა.

იხილეთ მეცხრე გვერდი

# საქართველოს თასის მერვედფინალი — საპასუხო მატჩები

**თბილისი**
**26 ნოემბერი**
**14 საათი**
**26 მაისი**
**1 500 (ტევადობა 16 000)**

## ლოკომოტივი 0 : 0 დინამო

პენალტებით 4:2.
პირველი მატჩი 0:0

0:1 მუჯირი, 1:1 მელქაძე, 1:1 ცქიტიშვილი (მეკარე), 2:1 ბალაშვილი, 2:2 კიკნაძე, 3:2 თარხნიშვილი, 3:2 დიდავა (მეკარე), 4:2 გოგოლაძე

**ლოკომოტივი:** ჯანელიძე (დოლაბერიძე 118), ბალაშვილი, კაციაშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, კ. მელაძე, ნ. მინდიაშვილი, დაუშვილი, კ. გოგოლაძე, ლუდუშაური (ბაქრაძე 46)
*სათადარიგონი:* გოდერძიშვილი, გიორგი ქორიძე, ქვარცხავა, ხორგუაშვილი, მარლიშვილი

**დინამო:** სოლოლაშვილი, ლ.მიქაძე ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, ა. სახვაძე (ხომერიკი 46), კიკნაძე, ალექსიძე, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი, აშვეთია
*სათადარიგონი:* გვარამაძე, კვარაცხელია, ქემოკლიძე, გ. გენგელია, ი. მახარაძე, ლ. მელქაძე

**გაფრთხილება:** კიკნაძე (42), ალექსიძე (71)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ე. სილაგავა (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ს. კუტივაძე

# ხერხმა აჯობა ღონესა

**კობა ინასარიძე**

„ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ხერხი იხმარა — თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩის გასამართად „დინამოს" ვაკეში უხმო, „26 მაისის" სტადიონზე, გავარკვიოთ, ვინ ითამაშოს მეოთხედფინალშიო. რკინიგზელებმა მცხეთაც იუარეს და ქვეყნის ცენტრალური სარბიელიც. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდეგ მასპინძელთა გახარებულმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ: „ჩვენი სტადიონი ეს არის. აწი აქ ვითამაშებთ. „დინამოსთან" განმეორებითი მატჩის ვაკეში ჩატარება კი ტაქტიკურადაც გამართლებული იყო, წინასწარ ჩავიფიქრეთ, რომ ჩემპიონისთვის ამ სტადიონზე გვემასპინძლა. „დინამოს" ჩვენზე მეტი შემსრულებელი ჰყავს და ვიცოდით, შედარებით უსწორმასწორო მინდვრის საფარზე მათ ბურთის გაგორება გაუჭირდებოდათ."

„ლოკომოტივს" მართლაც ეტყობოდა, საამმატჩოდ საგანგებოდ რომ მომზადებულა. მათ მძიმედ ტრავმირებულ ლიბერო ვაჟა თარხნიშვილსაც კი სასწრაფოდ უწამლეს, რადგანაც იცოდნენ, მის გარეშე დაცვა დინამოელთა ფორვარდების გამჩერებელი არ იყო. მაგალითი კვირას მიიღეს, როცა ამავე სტადიონზე თსუ-ს უმასპინძლეს.

„ლოკომოტივს" ყველაფერში გაუმართლა. „დინამოს" ფეხბურთელებმა პარკეტაყრილი იატაკის მსგავს მინდორზე ფეხი ვერ მოიკიდეს, ხშირად ბურთსაც ვერ აჩერებდნენ. მახარაძე შეგირდებმა ასახელეს და თარხნიშვილის ჩალურჯებული ფეხის დასაამებლად წამლებზე დახარჯული ფულიც არ გადაყრილა წყალში.

არა, ბოდიში, „ლოკომოტივის" გამარჯვების გამოსახატავად „გაუმართლა" სწორი სიტყვა არაა. მათ დამსახურებულად მოიგეს, უმართლებს კი იმას, ვინც ღირსია. თემურ მახარაძემ და „ლოკომოტივმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში მათი დაუმარცხებლობა გაწეული შრომამონდომების, სწორი აზროვნების ლოგიკური შედეგია.

„ლოკომოტივმა" გუშინ გააკეთა ის, რაც საქართველოს თასის პირველი გათამაშებისა და „გურიას" შემდეგ არავის მოუხერხებია. ისე, მათ ლანჩხუთელებზე მეტი შეძლეს — „დინამო" თასს მერვედფინალიდან ჩამოაშორეს, „გურიამ" კი ნახევარფინალში შეიწირა ჩემპიონები. თუ კიდევ გავაგრძელებთ „დინამოსა" და საქართველოს თასის თემას, მაშინ იმის თქმაც მოგვიწევს, რომ თასს, ალბათ, მეოთხე მფლობელი ეყოლება. უწინდელ გამარჯვებულთაგან გათამაშებას მხოლოდ „ბათუმი" შემორჩენია, რომელიც შარშანდელი გუნდის აჩრდილსღა მოგვაგონებს. თუ „ტორპედო" და „ლოკომოტივი" ფინალამდე არ შეხვდნენ ერთმანეთს, „ბათუმს", ალბათ, ვადაზე ადრე ჩამოიშორებენ გზიდან. სხვა გუნდებზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ, რადგანაც შორს წასვლის მცირე შანსი აქვთ.

ახლა თამაშზეც, თორემ ემანდ ვინმემ არ იფიქროს, ესეც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებივით უინტერესო, მონოტონური იყო და ამადაც არაფერს ამბობენო. არა, მსგავსი როგორ დაგვცდება, ენა როგორ მოგვიტრიალდება, ჩემპიონატის თამაშებს შეჩვეულებმა თასის ამ მერვედფინალზე გლეხურად, გლახაობა ვიხილეთო, დავწეროთ.

დაძაბული და საინტერესო თამაში იყო. ორივე გუნდმა იცოდა, რა უნდოდა, რისთვის იბრძოდა. შემადგენლობაც ოპტიმალური ჰქონდათ შერჩეული მწვრთნელებს. მხოლოდ „ლოკომოტივს" აკლდა, როგორც თქვეს, ტრავმირებული გოდერძიშვილი.

მატჩის ძირითად დროში ბევრი სახიფათო მომენტი არ შექმნილა. ერთხელ ლუდუშაურს აუღო სოლოლაშვილმა უძლიერესად დარტყმული ბურთი, მეორედ კი, კარი რომ ოდნავ ფართო ყოფილიყო, ალექსიძე ძელს არ დაემდურებოდა. სხვა ეპიზოდებში მცველები თავდამსხმელებზე მეტად ყოჩაღობდნენ, განსაკუთრებით ბარნოვ-აშვეთიას დუელი იყო მნიშვნელოვანი და რადგან დინამოელმა ვერ გაიტანა, გამარჯვებულადაც შეგიძლიათ ცნობილი მწერლის მოგვარე ჩათვალოთ. სხვა ფეხბურთელთა აქტიურობა-თავდადება რაღა ითქმის, ხომ ვახსენეთ, მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდაო.

დამატებით დროში მეტოქეებმა თითოჯერ ისევ გაანერვიულეს ერთმანეთი.

პირველად, პრაქტიკულად უშეცდომოდ მოთამაშე ჯანელიძემ ივაჟკაცა და თანაგუნდელები წაგებისგან იხსნა, წუთის შემდეგ კი დაუშვილი მხოლოდ ყოფილ თანაგუნდელ არჩვაძეზე შეიძლებოდა განაწყენებულიყო, როცა რამდენიმე მცველის გაპუმპალებას ლონივრად მოქნეული მარჯვენა მიაყოლა ბურთს და არჩვაძის ფეხმა საშუალება არ მისცა, იერიში ოქროს გოლით დაემთავრებინა.

მოგებულის გამოსავლენად დამატებული ნახევარი საათი მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ ფეხბურთელები უფრო ინერტულები გახდნენ, ვიდრე ძირითად დროში. გასაკვირი არცაა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

დადგა 118-ე წუთი. თემურ მახარაძემ სათადარიგო მეკარეს უხმო, პენალტების მოგერიება შენ უკეთ გეხერხებაო, უთქვამს დოლაბერიძესთვის. ორ წუთში გუნთაძემაც ჩასტვინა. დოლაბერიძემ კი დაამტკიცა, რომ პენალტების მოგერიებასაც ცოდნა უნდა, ორჯერ აიღო დარტყმული ბურთი და „ლოკომოტივს" გაამარჯვებინა. ჯანელიძემაც პირველმა მიულოცა.

ზემოთქმულის გარდა კი გამარჯვებულთა მწვრთნელმა ეს გვიპასუხა:

— აქამდე „დინამოს" ორჯერ შევხვდით, ჯერ ჩემპიონატში, მერე თასის პირველ მატჩში. შევისწავლეთ მეტოქე უწინდელი შეცდომები გამოვასწორეთ და გავიხარეთ. თუმცა ბევრი კი ვინერვიულე. „დინამოში" ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობენ და თუ ვინმე ამათ ცოტა ალმაცერად შეხედავს, სასტიკად დაისჯება. „დინამო" არ უნდა ათამაშო. საშუალება თუ მიეცი, მორჩა და გათავდა. ჩვენც ამის ხარჯზე მოვიგეთ, სათამაშო დისციპლინა უმაღლეს დონეზე გვქონდა. ტაქტიკურად სწორად ვითამაშეთ.



ბადრი კათილაძის ფოტო

გოგოლაძე, ნუკრი მინდიაშვილი, თარხნიშვილი: დედა, ეს რა ვქენით?!

**ქუთაისი**
**26 ნოემბერი**
**14 საათი**
**გივი კილაძე**
**10 000 (ტევადობა 23 800)**

## ტორპედო 4:1 კოლხეთი

ძირითადი დრო 3:1
პირველი მატჩი 1:3

1:0, 2:0 იონანიძე (40, 47), 3:0 ჯანაშია (61), 3:1 კალანდაძე (81), 4:1 მეგრელაძე (97)

**ტორპედო:** ჭანტურია, იონანიძე, ჩხაბერიძე, ჩხაიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე (მეგრელაძე 97), დ. ჯანაშია, ჩხეტიანი, ვაჩიბერაძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ქებაძე

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე (სუხიაშვილი 69), ღაღანიძე, გიორგობიანი, კალანდაძე, გაბისონია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუტიძე, შავგულიძე, ბაჩილავა, კრასოვსკი

**გაფრთხილება:** მაღლაკელიძე (45), ჩხაბერიძე (54)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე, ზ. დოლიძე, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი)
**სფფ-ს დელეგატი:** გ. პეტრიაშვილი



ბადრი კათილაძის ფოტო

ტორპედოელმა ზურაბ იონანიძემ (№13) „კოლხეთს" ორჯერ გაუტანა

# ფინალსაც დაამშვენებდა

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

ღმერთმა ქნას, გაისად 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე თასის ფინალისტები უკეთესად გარჯილიყვნენ, მაშინ ნახავთ, რა ფინალიც იქნება. გვერწმუნეთ, ყველანი ერთად გავიმარჯვებთ, მოგებულ-წაგებულს აღარ გავარჩევთ, თუმც მეტნაკლებად, მაგრამ საქებარს ორივეს ვარგებთ.

რა დასანანია, რომ გუშინ „გივი კილაძეზე" მერვედფინალი იყო და არა მეტი, რომ ერთ-ერთი, სურდა ეს თუ არა, გათამაშებას უნდა ჩამოსცლოდა. როგორც გახსოვთ, ამ ორი კვირის წინ ფოთში გამართულ შეხვედრაში „კოლხეთმა" თავიდან საკუთარ კარში მიიღო გოლი, მაგრამ ძალა მოიკრიბა, ჯიგრიანად იბრძოლა და საპასუხო თამაშის წინ ქუთაისელები ურთულესი ამოცანის წინაშე დატოვა. აბა, როგორი იყო 1:3 გაბათილება. არადა, „ტორპედოს" იმედი არ გადაუწურავს, საბოლოო გამარჯვებისათვის გულიანად ემზადა და გუშინ რეალობადაც აქცია მეოთხედფინალში გასვლის პრეტენზია. მოვლენებს დავასწრებთ და ვიტყვით, ეს დიდი შრომის ფასად.

კოლხები რომ უბრძოლველად არაფერს დათმობდნენ, საწყის წუთებშივე გამოჩნდა. ისინი ერთობ მობილიზებულნი დაუხვდნენ ტორპედოელთა სადებიუტო შტურმს. შტურმს ვამბობთ, თორემ, ფაქტობრივად, ის არც კი შემდგარა. სტუმრებმა შემოტევაზე შეტევითვე უპასუხეს და სტადიონზე შეკრებილი ათიათასიანი აუდიტორიაც დააფიქრეს. სახიფათო მომენტი რასაც ჰქვია, პირველად მე-7 წუთზე შეიქმნა. მართალია, ფოთელებმა საკუთარ საჯარიმოში არ შეუშვეს იონანიძე, ტორპედოელთა ბომბარდირმა ასე 17-18 მეტრიდან მაინც დაარტყა დაბალი და ბურთი ოდნავ აცდა ძელს. ორ წუთში უკვე მასპინძლებს შეექმნათ საფრთხე. ახვლედიანის მარჯვენიდან ჩაწოდებულ კუთხურს გაბისონია გამოეხმაურა, თავურით გაგზავნა ბურთი კარისაკენ, თუმც არაზუსტად. შუა ტაიმში მასპინძლებთაგან კვეტენაძე აქტიურობდა, მაგრამ ვერა და ვერ აიყოლია პარტნიორები, უფრო სწორად, კოლხები მათ მაქსიმალურად უზღუდავდნენ სამოქმედო არეს.

ასეთ ვითარებაში ტორპედოელებს ძალზედ უჭირდათ თავიანთი მთავარი კოზირის — ჯანაშიას გამოყენება, მაგრამ თანდათან თამაში გაიხსნა და ჯანოც „გამოჩნდა". 34-ე წუთზე მას თურმანიძემ მიაწოდა კარგი პასი, ჯანაშიამაც მოკლე რეიდის შემდეგ ძლიერად დაარტყა კარისაკენ. ოდნავ ააცილა. რამდენიმე წუთში ისევ დათო აღმოჩნდა მოვლენათა ეპიცენტრში. იგი ბურთიანად სწრაფად გაიჯრა სტუმართა ნახევარზე, ერთერთმა კოლხმა მას ბოლომდე სდია, ქვაჩახიაც გამოვიდა მის შესახვედრად საჯარიმოს ხაზამდე და დარტყმაც აუღო. აქ არბიტრმა სტუმრები დააჯარიმა. თავისუფალი დანიშნა. ქვაჩახიას ბურთი მცველისგან მიუვიდაო. ხაზს აქეთ ერთ მეტრში ქუთაისელებმა ჯარიმა გაათამაშეს. ჯანაშიამ „კედელს" მოახვედრა, გადმოვარდნილს ჩხეტიანმა მიუსწრო, ბურთი ოდნავ მარცხნივ წაიღო და კარში დაარტყა. ქვაჩახიამ უხერხულად მოიგერია და იონანიძემაც უმალ გადაგზავნა ბადეში. „კოლხეთს" ძვირად დაუჯდა მეკარის შეცდომა. ახლაც და მეორე ტაიმის დასაწყისშიც.

თამაში ახალი განახლებული იყო, როდესაც თურმანიძემ მარჯვენა ფლანგზე აუტიდან ბურთი ჯანაშიას გადაუგდო, ჯანომაც ჩვეული სისწრაფით მოჰკურცხლა, პირის ხაზამდე ჩააღწია და იქედან ჩააწოდა საჯარიმოში. ქობულაძემ და ქვაჩახიამ მოგერიებისას ერთმანეთს შეუშალეს ხელი და იონანიძემ ახლოდან მეორედ დასაჯა ფოთელები 2:0.

ზუსტად ის ანგარიში იყო „ტორპედოს" რომ აწყობდა. მასპინძლებს შეეძლოთ თამაში წყნარ დინებაში გადაეტანათ, მაგრამ ამის გაკეთება არც თავად უფიქრიათ და, კაცმა რომ თქვას, არც მეტოქე აცლიდა. ტორპედოელებმა უფრო მწყობრად შეუტიეს. იონანიძეს და ჯანაშიას კარგად აუბა მხარი შეცვლაზე გამოსულმა ახალგაზრდა იმედაძემ. ბევრი დრო არ გასულა, რომ ჯანაშიამ ისახელა თავი. ახვლედიანის შეცდომით კარგად ისარგებლა და მარცხნიდან მეკარესთან პირისპირ გასულმა მესამედ დაამწუხრა სტუმრები. ორი წუთის შემდეგ იმედაძე — ჯანაშია — თურმანიძის კომბინაციას მეოთხე გოლიც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. „კოლხეთის" ადგილზე სხვა გუნდი, ალბათ, ხელებს ჩამოუშვებდა, მაგრამ ფოთელებს ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლიათ. პირიქით, უფრო ჟინიანად ათამაშდნენ და ახლა უკვე მასპინძელთა დაცვას დაადგა ჯაფა. 68-ე წუთზე შალამბერიძის საჯარიმოდან სახიფათოდ დარტყმულს ჭანტურიამ კარის მარცხენა დაბალ კუთხეში მიუსწრო. ღაღანიძემაც რამდენჯერმე შორიდან გაისროლა, თუმც არაზუსტად.

კოლხებმა მაინც იხეირეს, თანაც მეტად ლამაზი იერიშის შედეგად. მინდვრის შუაგულიდან მიღებული ბურთი წივწივაძემ ქუთაისელთა საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან გაბისონიას უპასა ზუსტად, ამან კი ქუსლით ოდნავ უკან ჯონი კალანდაძეზე გაატარა, ჯონიმაც აღარ დაახანა, თორმეტიოდე მეტრიდან შეუჩერებლივ დაარტყა. ჭანტურია ამ შემთხვევაში უძლური იყო.

ძირითადი დროის დამთავრებამდე დარჩენილ წუთებში დაღლილობა მასპინძლებს უფრო ეტყობოდათ, მაგრამ ისინი ჯიუტად მიიწევდნენ სტუმართა კარისაკენ. 87-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე ჩხაიძემ გაიბრწყინა. იგი ოთხ კოლხს არ შეეპუა, საჯარიმომდე ჩააღწია, მაგრამ კუთხურზე მეტი ვერ მოიმკა.

მერე იყო მცირე ტაიმ-აუტი, რომელსაც „ოქროს გოლი" ან თამაშისშემდგომი პენალტები უნდა მოჰყოლოდა. ეტყობოდა, სტუმრები ამ მეორეს იმედად უფრო იყვნენ. დამატებულ დროში ბურთი კოლხთა ნახევარს არ გასცილებია. მართალია, თურმანიძემ, ჩხეტიანმა, იონანიძემ ვერ იხეირეს, მაგრამ სამაგიეროდ მეგრელაძეს გაუღიმა ბედმა. მისი მინდორზე გამოსვლა და ბურთზე ფეხის პირველივე მიკარება „ოქროდ" იქცა. გიასა და გოროზიას ორთაბრძოლამ ფოთელთა საჯარიმოში ქვაჩახიას კარში მეოთხე გოლი მოასწავა. თასის მეოთხედფინალში „ტორპედო" გავიდა.

### მატჩის შემდეგ

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:* ძალიან სამწუხაროა, რომ „კოლხეთი" და „ტორპედო" ნაადრევად შეხვდნენ ერთმანეთს. ეს გუნდები თასის ნახევარფინალსაც და, თუ გნებავთ, ფინალსაც დაამშვენებდნენ. ორივე გუნდმა დიდი მონდომებით ითამაშა და თუ „ტორპედომ" გაიმარჯვა, ალბათ, ღირსეულად. ჩვენ დაცვის და მეკარის მიერ დაშვებული შეცდომების გამო დავისაჯეთ. სამი ბურთი ნაჩუქარივით იყო. მეტოქემ შეცდომები არ გვაპატია და ეს მის კლასზე მიუთითებს. მსაჯებზე პრეტენზიებს იშვიათად გამოვთქვამ, მაგრამ ამ თამაშში იყო რამდენიმე შეცდომა. პირველი ბურთი რომ გავიდა, ვერ ავხსენი რისთვის დაგვაჯარიმეს. თანამსაჯებმაც ბევრჯერ შესცოდეს. თუმცა, ვიმეორებ, „ტორპედომ" დამსახურებულად მოიგო და მომავალშიც წარმატებების იმედი უნდა ჰქონდეს.

*ჯემალ ხერხაძე, „ტორპედოს" მწვრთნელი:* მე ჩემი გადამხდა, სიტყვებს თავს ველარ ვუყრი. მართლა კარგი თამაში იყო ორივე მხრიდან, ნამდვილი ბრძოლა. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მატჩები. მადლობელი ვარ ბიჭების. ხელმძღვანელობაც გაახარეს, თავიანთი თავიც და ამდენი მაყურებელი. საშემოდგომო ამოცანები, მგონი, პირნათლად შევასრულეთ.



ლევან დოლაბერიძემ ავტოგრაფების დარიგებაც მოასწრო

# დოლაბერიძის ჯეკ-პოტი

*გუშინ ვაკეში საქართველოს თასის საპასუხო მატჩის — „ლოკომოტივი“-„დინამო“ — დამატებითი დრო იწურებოდა, როცა რკინიგზელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ ოქროს შეცვლა გააკეთა, მეკარე დავით ჯანელიძე სათადარიგო ლევან დოლაბერიძემ შეცვალა. შეგირდმა მწვრთნელს გაუმართლა. დოლაბერიძემ ცქიტიშვილისა და დიდავას თერთმეტმეტრიანები აუღო და გუნდის გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო. უზომო იყო რკინიგზელთა სიხარული...*

**— მახარაძემ გასახურებლად რომ შეგამზადა, ცხადი გახდა, პენალტების სერიისას „ლოკომოტივი“ შენს იმედზე იყო. ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად იყავი?**

— ვარჯიშებზე პენალტებზე ინტენსიურად ვემზადებოდი, ველოდი, რომ ამგვარი რამ მოხდებოდა, შესაძლებელი იყო. თამაშის წინაც შეთანხმებულნი ვიყავით, თუ საქმე პენალტებზე მიდგებოდა, მაშინ კარში მე უნდა ჩავმდგარიყავი. უფლის წყალობით, გამიმართლა და გავიმარჯვეთ კიდეც.

**— მას შემდეგ, რაც გოგოლაძემ ბოლო პენალტი გაიტანა, სიხარული ორიგინალურად გამოხატე, რა გრძნობა დაგეუფლა, სხვა თუ არაფერი თავად უცვლელი ჩემპიონი გამოთიშეთ თასიდან. ასეთი რამ კი ჩვენში მეორედ მოხდა...**

— მართალი გითხრათ, დღეს რომ გავიხარე, მსგავსი რამ კარგა ხანია, არ განმიცდია. ბოლო-ბოლო „დინამო“ გამოვთიშეთ, რაც, დამეთანხმები, იოლი ნამდვილად არ იყო. მინდა, მადლობა ვუთხრა ბიჭებს, რომელთაც მთელი ჯიგარი ჩააქსოვეს, პენალტები ხომ ლატარიაა და არც ის იყო გამორიცხული, წაგვეგო კიდეც.

**გიორგი ვაშაკიძე**

# შავარჯნიდან შავარჯნამდე

ინგლისის მეორე დივიზიონის წლევანდელი ჩემპიონატი ახალ დაწყებული იყო. „მანჩესტერ სიტიში“ სეზონი ორმა ქართველმა დაიწყო. კახა ცხადაძე და მურთაზ შელია ისევ „სიტიში“ იყვნენ, თუმცა იმედი კი ჰქონდათ ახალ კლუბში გადასვლისა. რამდენიმე გუნდის ვინაობას ასახელებდნენ, ორივე ამბობდა, მეორე დივიზიონში გამჩერებლები აღარ ვართო. კახა ცხადაძეც დღე-დღეზე ელოდა, როდის მიაკითხავდა მენეჯერი და მისით დაინტერესებული კლუბის ამბავს ეტყოდა, მაგრამ წამმა ყველაფერი ჩაშალა. კახა მძიმედ დაშავდა, ექიმების ვარაუდით, იგი სეზონის ბოლომდე ბურთს ვერ გაეკარებოდა.



ცხადაძე ბუცებს ირგებს

ამასობაში ორ თვეზე მეტი გავიდა. კახას სიარულიც კი უჭირდა, ვარჯიშზე რომ აღარაფერი ვითქვათ. არც საიმედო ისმოდა რამე მანჩესტერიდან, რამდენს შევეხმიანებოდით, იმდენჯერვე ერთს გვპასუხობდა, არა, ძველებურად, ისევ ყავერჯნებით, ძვლივს დავდივარო — სევდიანად გვპასუხობდა ჩვენებური მცველი.

კახა ცხადაძეს ბოლოს გუშინ გამოვკითხეთ მისი ჯანმრთელობის ამბავი და ეს გვიპასუხა:

— ცოტაც და საბოლოოდ მოვშუშდები. ნელ-ნელა სირბილიც კი დავიწყე, დილა-საღამოს ჩემთვის ვძუნძულებ ხოლმე. აღდგენითი პროცესი ჯერჯერობით კარგად მიდის. ექიმებმა როცა გამსინჯეს, თავადვე გაუკვირდათ, არ ველოდით ასე სწრაფად თუ გამოჯანმრთელდებოდიო. არადა, რაღა სწრაფად, თითქმის სამი თვეა უქმად ვარ, აღარ შემიძლია. ეგ კი არა, სულაც იმას მეუბნებოდნენ, სეზონის ბოლომდე გჭირდება მკურნალობაო. ღვთის ნებით ექიმების ნათქვამი არ გამართლდა. 10-15 დღე კიდევ ჩემთვის ვიქნები, აქვე პარკში ვირბენ და მერე გუნდს შევუერთდები. ჩემი ვარაუდით, დეკემბრის ბოლოსკენ უკვე თამაშიც შემეძლება.

სხვა საფიქრალი არაფერი მაქვს. რომ ვიხსენებ, მერამდენე მძიმე ტრვმა გადავიტანე გული მიწუხს. დავითარსე აგერ ახლა არ იყო, ნახევარი წლის წინ, ისეთი ტკივილები გადავიტანე ფეხბურთზე საერთოდ თავის დანებებას ვაპირებდი. მაგრამ გავუძელი, ყველაფერი მოვითმინე. ახლაც ასე იქნება, ისევ დავიბრუნებ დაკარგულ ფორმას და როგორც შემეძლება, კიდევ გაგახარებთ.

**კობა ინასარიძე**

# ალია სამტრედიიდან

მახსოვს, შოთა ჩომახიძე რომ ჩაჩუასეული „სამტრედიის“ რიგებში გამოჩნდა, ვილაცამ ტრიბუნაზე წაილაპარაკა — აი, ყოჩაღ, ხატულა, მაინც მიაღწია ამ ბავშვმა თავისას, ნეტა, ასევე გააგრძელებდესო.

იცით, რას გულისხმობდა ის ქომაგი? შოთა ჩომახიძე, სულ ბავშვი, მთელ დღეს ვარჯიშობდა. ერთ ჯგუფთან რომ მორჩებოდა, მერე მეორესთან გააგრძელებდა გარჯას და შედეგიც მოიმკო — ცამეტი წლისა ნოდარ ხიზანიშვილისა და გაიოზ დარსაძის „თბილისში“ აიყვანეს, სულ ორ წელიწადში კი ჩომახიძე „სამტრედიის“ შემადგენლობაში მოხვდა. კარგად მიაქციეთ ყურადღება — იმ „სამტრედიაში“ და თან თხუთმეტი წლისა.

ამიერიდან შოთა ჩომახიძე კარიერას რომელიმე ებრაულ გუნდში გააგრძელებს („იბერიის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილის ცნობით, ეს გუნდი გიორგი დარასელიას „ზაფრირიმი“ იქნება).

და მაინც, როგორ ფიქრობთ, რა აიძულებთ ჯერაც სულ ახალგაზრდა, ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭებს მიატოვონ საქართველო?

*— თავიდათავი მიზეზი ისევ ეროვნული ჩემპიონატის დაბალ დონეშია საძიებელი — მიაჩნია შოთას — კარგად გამიგეთ, დღემდე ისე მოვედი, ბავშვური ასაკის შემდეგ თითქმის არაფერი მისწავლია. ერთი სიტყვით, რაც ვიცი, ჩემით და ჩემი ადრინდელი მწვრთნელებისგან ვიცი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, მისი დონიდან გამომდინარე, ახალს და კარგს ვერაფერსასწავლის ფეხბურთელს. ამიტომაც გარბიან ფეხბურთელები ჩვენი ქვეყნიდან.*

საკლუბო ფეხბურთს რომ უკიდურესად უჭირს ჩვენში, არახალია. რამდენი კაციცაა, გამოსავალის ვარიანტიც იმდენია. ჩომახიძესაც თავისებურად ესმის პრობლემის არსი:

*— დაბალი ეკონომიკური დონე, ჩვენი კლუბების უაღრესი მატერიალური სიდუხჭირე, მე თუ მკითხავთ, ქართული ფეხბურთის მთავარი ჭირი ესაა. არ მესმის და ვერც ვერასდროს გავიგებ, რატომ უნდა არსებობდეს გუნდი, რომელსაც ფეხბურთელისთვის საჭმელი ვერ უჭმევია და ბუცი ან ბურთი ვერ უყიდია. არ არის აუცილებელი, ყველა პირველ ჯგუფში თამაშობდეს. გავა დრო, აიწევა ქვეყნის საერთო ცხოვრების დონე და ისეთი ხალხიც გამოჩნდება, გუნდს ელემენტარულ საარსებო პირობებს რომ შეუქმნის.*

არ არსებობს ფეხბურთელი, თავისი საფეხბურთო კარიერიდან რაიმე ღირსსახსოვარი არ შემორჩეს მეხსიერებაში, ისე, კარიერასაც გააჩნია და ასაკსაც. ახალგაზრდა სულ მომავლისკენ იყურება, იქით ეძებს დასამახსოვრებელს, შოთაც ასევე.

*— ჩემს კარიერაზე ჯერ ნაადრევად მიმაჩნია საუბარი. ვერც მატჩს გავიხსენებ ისეთს, მთელი ცხოვრება რომ გამყვეს. ეს ჯერჯერობით, მომავალში ვნახოთ...*

**— და დიდი „სამტრედია“? იქ ხომ გიწევდა ნაღდი ფეხბურთის თამაში?**

*— ვერ დაგეთანხმებით. მაშინ სულ თხუთმეტი წლისა ვიყავი და აქა-იქ თუ მანდობდნენ შემადგენლობაში გამოსვლას. ეს ძირითადად ისეთ მატჩებში ხდებოდა, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, გუნდი დიდი ანგარიშით იგებდა თამაშს ან სხვა ამგვარი.*

**— შოთა, როგორ ფიქრობ, რამ შეუშალა ხელი „სამტრედიას“ ჩემპიონობაში? ხალხი ფედერაციას ადანაშაულებდა, ფედერაცია გუნდის ხელმძღვანელობას, გუნდის ხელმძღვანელობაც თავის მხრივ სხვებში ეძებდა მიზეზს — ფეხბურთელებმა გუნდზე გული აიყარესო. შენ რას იტყვი?**

*— მგონია, ცალ-ცალკე კი არა, ყველაფერმა ამან ერთად შეუშალა ხელი „სამტრედიას“. მიზეზები მოედანზეც მრავლად იყო და მის გარეთაც.*

ფეხბურთელის კარიერის წლები თითებზე ითვლება. ამიტომ ამ წლების დაკარგვა ან მათთან ზერელობა უაღრესად სახიფათო რამ გახლავთ. შოთასაც ასე მიაჩნია.

*— იცით, ახლა როგორ ვფიქრობ? ოღონდ კი საქართველოდან გამეღწევინა, ოღონდ კი სადმე ფეხი შევდგა და სანამ ჩვენში ოდნავ მაინც არ დალაგდება საფეხბურთო სიტუაცია, უკან მომბრუნებელი არა ვარ. ჩემს ასაკში წუთის დაკარგვის უფლებაც არ მაქვს.*

**— ზოგი ასეც ამბობს, ფეხბურთისთვის არა, ფულისთვის უფრო გარბიან საქართველოდანო...**

*— არ არის მართალი. ფეხბურთელი ფულზე კარიერის მიწურულს იწყებს ფიქრს. ფულზე და ცხოვრების მოწყობაზე იმათ იფიქრონ, 30-31-32 წლისანი რომ არიან. მე კი ამისთვის ნაღდად არ მცალია, ჯერ გაზრდაზე ვფიქრობ, ფეხბურთზე, რომელიმე ნორმალურ გუნდში მოხვედრაზე. ასე რომ, ფული სულაც არ არის ჩემთვის მთავარი.*

ახალგაზრდა კაცმა რომ თავისი ნაკლის შესახებ იცის, ამას რა ჯობს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ ხარვეზის გამოსწორებაზე ფიქრობს ახალგაზრდა კაცი, მით უმეტეს, ფეხბურთელი, შოთა ჩომახიძემაც უკვე იცის, რაზე უნდა იმუშაოს.

*— მარცხენა ფეხი ვერა მაქვს ისეთი, როგორსაც ფეხბურთი ითხოვს ჩემგან. ჩემი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ვერც თავით ვთამაშობ კარგად. ამაზე მმართებს შრომა.*

ჩომახიძე იმ იშვიათ ქართველ ფეხბურთელთაგანია, ჯარიმებს რომ ურტყამს და საკმაოდ ოსტატურადაც. ამაზე თვითონ ღიმილით საუბრობს:

*— ეს ჩემზე მეტად გიორგი გოგიაშვილის დამსახურებაა, გახსოვთ, ალბათ, „სამტრედიაში“ სტანდარტულ დარტყმებს ძირითადად ის ასრულებდა. მერე ერთად ვვარჯიშობდით ხოლმე და აი... თუ რამე ვიცი, სულ გიორგისგან ვისწავლე.*

**— სიტყვამ მოიტანა და გუნდში მოთამაშე ფეხბურთელებიდან ვისთან უფრო გიადვილდებოდა თამაში?**

*— ადრე თუ ახლა?*

**— საერთოდ...**

*— ალბათ, ისევ გიორგი გოგიაშვილს დავასახელებდი. სხვებზე უფრო მისი პარტნიორობა მსიამოვნებდა. მათამაშებდა კიდეც და მასწავლიდა კიდეც.*

**— შოთა, მოდი ისევ ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. პირველი წრე „იბერიაში“ ჩაამთავრე. წლევანდელ სეზონში რომელმა გუნდმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება?**

*— „ლოკომოტივმა“. იგი სხვებთან შედარებით უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.*

**— ამას მახარაძეს, „ლოკომოტივის“ მწვრთნელს აბრალებენ...**

*— მწვრთნელის სიძლიერე-სისუსტეზე თქვენ ილაპარაკეთ, ჟურნალისტებმა. მე „ლოკომოტივი“ მინდორზე ვნახე და იქ მომეწონა. მინდორზე კი ფეხბურთელები თამაშობენ.*

**— ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოყოფდი?**

*— ცქიტიშვილს. ლევანი ძლიერი ფეხბურთელია. ვიცი, ამასაც შემეკითხებით და საერთოდ ჯამრაული მიმაჩნია საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად, რა თქმა უნდა, მოქმედ მოთამაშეთა შორის. კერპიც მყავს — მარადონა, მაგრამ რად გინდა, არ აცალეს ამ კაცს ბურთის თამაში (იცინის).*

ჩომახიძეს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოუწია თამაში. თუმცა ძირითადში იშვიათად ამწესებდნენ, მაგრამ ფაქტობრივად ყველა შეკრებაზე გამოიძახეს.

**— შოთა, რობერტო ლანდიზე იმდენი ითქვა და დაიწერა, მობეზრდა კიდეც ხალხს. მაინც საინტერესო იქნება შენი აზრი მის შესახებ.**

*— არაფერი ჰქონდა იმ კაცს ჩვენი დასაწუნი. იგი რაღაც ახლებური ტიპის მწვრთნელად მეჩვენა. აქცენტი ძირითადად აზროვნებაზე ჰქონდა გადატანილი. ფიქრს გვაჩვევდა, რომელ კონკრეტულ სიტუაციაში როგორ ჯობდა, მოვქცეულიყავით — ამაზე გვამეცადინებდა.*

**— ალბანეთთან მატჩის შემდეგ ლანდის ერთი რაღაც უსაყვედურეს — მარჯვენა ნახევარმცველად ცაცია ჩხეტიანი გაამწესა, შენ კი სკამზე დაგსვა.**

*— იმ თამაშში არ გაგვიმართლა და შედეგის ფონზე ყველაფერი მტკივნეულად აღიქვა ხალხმა. რაც შეეხება ჩხეტიანის გამწესებას, იგი კარგახანია, ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდის, შეთამაშებულია გუნდთან და ნდობის ფაქტორმა ბევრი რამე განსაზღვრა. მე კი იქამდე ორიოდეჯერ თუ მომიწია ბიჭებთან შეკრებაზე ყოფნა.*

**— ერთი სიტყვით, ფორმიდან ამოვარდნა ან ტრავმა არავითარ შუაში არ იყო.**

*— არა, ჩხეტიანის გამოცდილებამ განსაზღვრა მწვრთნელების არჩევანი.*

ქართველი ფეხბურთელების საარაკო ტემპერამენტი ხშირად ანეკდოტურ სიტუაციებსაც კი ქმნის ეროვნულ ჩემპიონატში. გინებას და ჯიკაობას ვინ ჩივის, წიხლაობა და ცემა-ტყეპა აღარ ეხამუშება თვალსა და ყურს, ერთხელ ლამის ყურიც მოაჭამეს მსაჯს. თუმცა ისეთი ფეხბურთელებიც გვყავნან, თავის ემოციების დაოკებაც რომ ძალუძთ და ძირითადად სიმშვიდით გამოირჩევიან მსაჯობის პრობლემა ერთი უმთავრესთაგანია ჩვენში და სხვების ფონზე მშვიდი ჩომახიძეც, როგორც მოედანზე სჩვევია, მშვიდად „არკვევს ურთიერთობას“ მსაჯებთან.

*— ამ მხრივ, ჩვენში განსაკუთრებული არაფერი ხდება. საქართველოში კარგი, კვალიფიციური მსაჯებიც არიან და დაბალი დონის არბიტრებიც არ გვაკლია (ისე, ამ კითხვას რომ ვუსვამდი, იქვე მჯდომი გია ჭელიძე მსაჯთა ოთახისკენ გაიქაჩა და „უჰ, ამათიო“... ხუმრობით დააყოლა).*

ხუმრობა ხუმრობად და იცლება ეროვნული ჩემპიონატი ნიჭიერი ფეხბურთელებიდან. მარტო სამტრედიიდან და მარტო წლეულს უკვე ოთხი კაცი ეწვია ისრაელს. როგორც გვითხრეს, „ალია სამტრედიიდან“ კვლავაც გაგრძელდება.

**— ისრაელში უკვე წასული თანაგუნდელების რა ისმის?**

*— ხუჭუა დაიტოვეს, ამაშუკელის ამბავი ჯერაც არ გარკვეულა...*

**— შენს მომავალზე რას იტყვი?**

*— ექვსთვიანი იჯარით მივდივარ ისრაელში. იქ გამსინჯავენ და თუ მოვეწონები, დამიტოვებენ.*

**— პირობები რომ არ მოგეწონოს?**

*— არ არსებობს, მე ხომ უკვე გითხარით, ოღონდ კი აქაური ჭაობიდან გამაღწევინა და პირობებზე როგორ დავიწუწუნებ. თანაც არც ისე ბრმად მივდივარ, ვიცი, სად და როგორ გავირჯები.*



შოთა ჩომახიძეს (მარჯვნივ) ისრაელს ელიან

მიდიან ბიჭები, გარბიან. რას ვიზამთ, ასე მოიტანა ცხოვრებამ და ქართულმა ფეხბურთმა. ხატულამაც ალთქმულ მიწაზე გადაწყვიტა საფეხბურთო ბედის პოვნა. იქნებ სწორადაც იქცევა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# შეუნდე მამაო, რამეთუ...

ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს თავიდანვე დაებედა მსაჯების ცემა. ეს არაჯანსაღი ტრადიცია დღემდე მოჰყვება ქართულ ფეხბურთს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვერც ვერასდროს აღმოვფხვრით ამ ტენდენციას.

რა არ იღონა აწ უკვე გადარჩეულმა ფეხბურთის ფედერაციამ, მაგრამ მსაჯთა დალურჯებულ თვალებს და დასისხლიანებულ ცხვირპირს ვერაფერით ასცდა.

თავიდან იყო დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა, თანაც საკმაოდ სოლიდური. ვერ მოგვარდა პრობლემა. დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს მალევე გამოუჩნდებოდა მაღალჩინოსანი პროტეჟე ან საფეხბურთო წრეებში გავლენიანი კაცი და დისკვალიფიკაციამაც ჭირი მოგჭამათ. რაც შეეხება ფულად ჯარიმას, მაშინ ქვეყანა ჯერაც ინერციით მოდიოდა. ყველას ჰქონდა ყოფილი საბჭოეთის პერიოდში ნაგროვები ქონება და ჯარიმასაც დაუფიქრებლად, უპრობლემოდ იხდიდნენ.

ქართულ ფეხბურთში დაუსჯელობის პრინციპი გაბატონდა. აქაოდა, ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურულიო, იმატა მსაჯთა ცემა-ტყეპამ.

ისევ დაფიქრდა ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯის შეურაცხყოფისათვის ჯერაც გაუგონარი სასჯელი დაადგინა — მსაჯის მცემელ გუნდს ხუთი ქულა ჩამოაკლდებაო. ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია ძალაში კი დარჩა (რა თქმა უნდა, სიმბოლურად), მაგრამ ფულად ჯარიმებზე უარი თქვეს. ცხოვრება გაჭირდა, გადასახდელი არავის არაფერი გააჩნია და აზრიც არა აქვსო — ასე გაამართლეს ფედერაციის თავკაცებმა თავიანთი გადაწყვეტილება.

მსაჯებზე ძალადობის ფაქტებმა იკლო. შეიძლებოდა სულაც გამქრალიყო, მაგრამ ფედერაციამ თავისი ხელით მოჭრა ის ტოტი, რომელზეც მოკალათებულიყო. კერძოდ, დააკლო ქულები თელავის „კახეთს", ბოლნისის „სიონს", თბილისის „მერანს" და ასე შემდეგ, მაგრამ მსგავსი დარღვევებისთვის ამა ქვეყნის ძლიერებს ვერაფერი შეჰკადრა. სწორედ მაშინ აირია მონასტერი.

ფედერაციისგან დებულების დარღვევას ნაჩვევმა სუსტმა კლუბებმა ხმა აიმაღლეს, მუქარას უმატეს და ფედერაციაც შეაფუცხუნეს. შედეგად ისევ განუკითხაობა მივიღეთ, რომელიც სათავეს, რა თქმა უნდა, იამანიძის ქუჩიდან იღებდა.

არ შემდრკალიყო ფედერაცია, დაესაჯა „ბათუმი" ერთხელ-მეორედ, „კოლხეთი" თავის დროზე, „მერანი" კიდევ ერთხელ და თავიც ქუდში ექნებოდა. არ ინდომეს და მათ ნამოქმედარს ახლაც ვიმკით.

წლევანდელი სეზონის დასაწყისში ხუთქულიანი სასჯელი სამქულიანით შეიცვალა, რომელსაც პირველად ჯერაც ერთადერთი, ვეტერინართა „ვიტ ჯორჯია" წამოეგო. „მერანთან" მეათე ტურის გასვლით შეხვედრაში, გიორგი ჭანკოტაძე თანამსაჯ ნუგზარ რუსიშვილის გაუგებარმა მოქმედებამ აღაშფოთა, მაგრამ იმას, რაც ჭანკოტაძემ ჩაიდინა, გამართლებას



ჩვენს სტადიონებზე აყალმაყალი უცხო რამ არ არის

ვერაფრით მოვუძებნით. მსაჯს თავისი გამკითხავი ჰყავს და ყოველ დაუდევრობაზე პასუხი ფედერაციამ უნდა მოსთხოვოს. ამიტომ ფეხბურთელს უფლება არა გაქვს, კაცი (თუნდაც მსაჯი) „ლინჩის" წესით გაასამართლო. გიორგი ჭანკოტაძეს და „ვიტ ჯორჯიას" ფედერაციამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა, მაგრამ...

იგივე „ვიტ ჯორჯია" ხედავს, რომ ფედერაციამ ჯერჯერობით განტევების ვაცად მხოლოდ ის აქცია და სხვა, მხოლოდ მსუბუქ დატუქსვასლა დააჯერა.

თასის გათამაშების ერთ-ერთ მერვედფინალურ მატჩში გორის „დილამ" „ბათუმს" უმასპინძლა. დაძაბულ შეხვედრაში ქუთაისელი არბიტრი ავთანდილ შალამბერიძე დაიბნა, თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა და სტუმარ-მასპინძელს, ორივეს აწყენინა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მსაჯმა მოახერხა, „ბათუმის" მეკარე ნიკა ტოგონიძე „გაეგიჟებინა". ყველაფერი მასპინძელთა მიერ თამაშის მიწურულს გატანილ გოლს მოჰყვა.

ტოგონიძე მსაჯს გამოეკიდა, ლამის ცენტრამდე სდია და ზურგში ხელი ჰკრა — წერია 12 ნოემბრის „სარბიელში". ეროვნული ნაკრების მეკარეს გასაბრაზებელი მიზეზი ჰქონდა. მასთან პირისპირ გასული თავდამსხმელის დარტყმული ბურთი ჯერ მოიგერია, მერე დაჭერასაც უპირებდა, მაგრამ ვინ აცალა. ერთმა მასპინძელმა ფეხებში ხელი წაავლო და შებოჭა, მეორე კი ზედ გადააჯდა. მსაჯმა გოლი მაინც ჩათვალა. რბილად რომ ვთქვათ, წესების აშკარა დარღვევაზე თვალი დახუჭა.

მიუხედავად ამისა, ტოგონიძეს საქციელს მაინც ვერ მოვუწონებთ. ყოველივე გამოუცდელ, დამწყებ ახალგაზრდას რომ მოსვლოდა, კიდევ იტყოდი კაცი რამეს, მაგრამ ტოგონიძისგან ნამდვილად გაგვიკვირდა, მით უმეტეს, როცა ნიკას ყველა თავდაჭერილ და პატიოსან მოთამაშედ ვიცნობთ.

ბათუმელი მეკარე დაისაჯა. ფედერაციამ წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია და სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია დაუდგინა, მაგრამ თავისი ბოლომდე მაინც არ გაიტანა. თუ ფეხბურთელს დასჯი და მსაჯზე ხელყოფის ფაქტს აღიარებ, მაშინ დებულების თანახმად „ბათუმიც" უნდა დასჯილიყო. კერძოდ, ბათუმელთათვის სამი ქულა უნდა ჩამოეკლოთ.

ვერც ახალმა ფედერაციამ დაიწყო შთამბეჭდავად თავისი მოღვაწეობა. ისევ ირღვევა დებულება და თუ ასე გაგრძელდა, ძველებურად დომხალი იქნება.

ფეხბურთელებს დროებით თავი დავანებოთ და მსაჯებზე ვთქვათ. სტადიონებზე ატეხილი დავიდარება უმეტეს შემთხვევაში მათი არაკვალიფიციურობისა და ტენდენციურობის ბრალია. მსაჯიც ხედავს, რომ ჩადენილი „ავკაცობა", ადვილი შესაძლებელია, ხახვივით შერჩეს. არბიტრმა იცის, რომ მომდევნო ტურში მას მაინც დანიშნავენ, უმუშევარი არ დარჩება და ჯანი გავარდეს, თვეში ერთ ან ორ ცემას როგორმე გაუძლებს კაცი.

ამქვეყნად დაფარული არაფერია, ყველამ ყველაფერი იცის. ხშირად გაიგონებთ სტადიონებზე, ეს და ეს მსაჯები ამა და ამ გუნდის არიანო. ხელი ხელს ბანს, ორივე პირსაო. პირი ადრე ფედერაცია გახლდათ და ესეც ყველამ იცოდა.

ადრე ფედერაციამ სამსაჯო-საინსპექტორო მომსახურეობის გადასახადი კლუბებს დააკისრა, თან დებულებაში ჩაწერა, ვინც არ გადაიხდის, სამაგალითოდ დაისჯებაო. „ურჩი გადამხდელი" გათამაშებიდან უნდა მოხსნილიყო. რაღაც არ მახსენდება ფაქტი, ასეთი „დანაშაულისთვის" ფედერაციას ვინმე გაემეტებინოს. არადა, რამდენ მსაჯს ნახავთ მოწუწუნეს, მოგვკლა ამ ნისიებზე სიარულმაო.

ამბობენ, არ არსებობს მსაჯი, რომელიც კლუბთაგან უმნიშვნელოდ მაინც არ იყოს დავალებულიო. ყველასი რა გითხრათ, მაგრამ, ალბათ, არსებობენ ასეთებიც. ამიტომაც ყაბულდებიან ნისიად მსაჯობას. ეს კიდევ არ არის განუკურნებელი და მოუვლელი სენი. მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ფედერაციამაც ძალიან კარგად უწყის ყოველივე და გაჩუმებას ამჯობინებს. კიდევ კარგი, მეორე წრეში ფედერციამ თავად იკისრა სამსაჯო-საინსპექტორო ხარჯების ანაზღაურება და მსაჯთა „ტანჯვასაც" ბოლო მოეღო.

ახალ ფედერაციაში, „ძველების" მადლით, სამუშაო არ მოაკლდებათ, გავერანებული ფედერაცია და უბადრუკი ჩემპიონატია მისახედი, მაგრამ ამაზე წუწუნს ვერ გადავყვებით. თუ რაიმეს გაკეთება და მიზნის მიღწევა სურთ, ფედერაციის თავკაცებმა დებულების უზენაესობას უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება.

იმის თქმა, „გურიას" დარღვევისთვის იმიტომ ვერ დავსჯით, რომ თავის დროზე სამსაჯო- საინსპექტორო თანხის გადაუხდელობისთვის „ოდიში" არ მოგვიხსნიაო, არაფრით გვარგებს. ძალიანაც ცუდი თუ არ მოგვიხსნია. ასეთი პრინციპი, ფეხბურთზე ისედაც გულგაციებულ გულშემატკივარს მთლად ხელს ჩააქნევინებს.

ძველი ფედერაცია „შეუნდე მამაოს" პრინციპით მუშაობდა, სწორედ ამან დაღუპა და დაახრჩო კიდეც. ახლებმა კი ახლებურად უნდა იფიქრონ, კონკრეტული საქმეები დაგვანახონ და მხარდამჭერაც მერე მოგვთხოვონ, თორემ ჯერჯერობით რაც გვესმის, მხოლოდ ესაა — ასე გაგრძელება არ შეიძლებაო. ერთხელაც ავდგეთ და კანონი დავიცვათ.

თუ არა და, ახალი ყრილობაც მოვა და თეთრს და შავს მერე გაარჩევენ.

**მამუკა ქვანტალიანი**

## kicker sportmagazin დინამოს კონკურენტი

### კალათბურთის ექს-ვარსკვლავი ვიზავის შველის

GEORGIEN: Ex-Baketballstar rettet Herausforderer

**Konkurrenz für Dynamo Tiflis**

**Dynamo Tiflis bekommt es plötzlich auf der heimischen Bühne mit ernsthafter Konkurrenz zu tun: – eine Tifliser Bank – für bankrott, was die Existenz des finanziell verschuldeten Klubs gefährdete. Die**

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ „დინამო"-„ტორპედოს" საჩემპიონო ბრძოლამ გერმანულ გაზეთ „კიკერის" ყურადღება დაიმსახურა. მართალია, გერმანელებს მცირედი უზუსტობანი (იონანიძე ნაკრებში 1996 წლის შემდეგ არ მიუწვევიათ) გაეპარათ, მაგრამ მათი ინფორმაცია ჩვენი ფეხბურთის თაობაზე მაინც საინტერესოა.

თბილისის „დინამოს" შინაურ ასპარეზზე ახალი და ძალიან სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ეს კლუბი ქუთაისის „ტორპედოა". პირველი წრის დასრულების შემდეგ სხვაობა მათ შორის სულ ერთი ქულაა, თუმცა თბილისელებს ერთი გადადებული მატჩი აქვთ დარჩენილი მესამეადგილოსან ფოთის „კოლხეთთან". ამ შეხვედრის მოგება კი დინამოელებს ძალიან გაუჭირდებათ. ასე რომ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების მოკლე ისტორიაში პირველი ადგილისთვის ბრძოლის თვალსაზრისით წლევანდელი სეზონი გამორჩეული იქნება.

ქუთაისის „ტორპედომ" მეათე ჩემპიონატი ძლიერად დაიწყო. მაგრამ შემდეგ თანდათან უკლო თამაშს, ამის მიზეზი კი გუნდის სპონსორის ერთ-ერთი თბილისური ბანკის გაკოტრებაა. უსპონსოროდ დარჩენილმა მწვრთნელ ხერხაძის ბიჭებმა, რომლებიც დაუმარცხებელნი იყვნენ ჩემპიონატში, ამის შემდეგ ორჯერ წააგეს.

ამ დროს გამოჩნდა მშველელი. მიხეილ ქორქია — ყოფილი კალათბურთელი, 1972 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული. ქორქია ბოლო დროს რუსეთში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. იგი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და „ტორპედოს" პრეზიდენტობის მძიმე ტვირთი იკისრა. ქორქიამ ფეხბურთელებს დავალიანება გაუსტუმრა და წარმატებებიც დაბრუნდა. კლუბის ორი თავდამსხმელი დავით ჯანაშია და ზურაბ იონანიძე (ორივე 26 წლისაა) კი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ქვეყნის უპირველეს გუნდში მიიწვია.

**„კიკერიდან" თარგმნა**
**ვანო ოქროპირიძემ**

## აპატიებენ?

ფეხბურთის გულშემატკივრებს, ალბათ, ემახსოვრებათ ალეკო გოგობერიშვილი, რომელიც ერთ-ერთ იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა. ისე მოხდა, „მერანის" ნახევარმცველმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრობასაც გამოჰკრა ხელი, შემდეგ „დინამოს" ხელმძღვანელობამ დაადგა თვალი და იგი ჩემპიონთა შორის აღმოჩნდა.

შარშანდელი პირველობის კალენდარულ მატჩში „დინამო" გორს სტუმრობდა. შეხვედრა თითქოს ფრედ 1:1 უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ როდესაც 90-ე წუთი იწურებოდა, საჯარიმოში მყოფმა გოგობერიშვილმა მარჯვენა ლონივრად მიოქნია, ნახევარბრუნით ულამაზესი გოლი გაიტანა და ჩემპიონებსაც გაამარჯვებინა.

ამის მერე გოგობერიშვილი არც გამოჩენილა. „დინამოში" გაუჩინარების მიზეზად მისი და ალეკო გელაძის უდისციპლინობა დასახელდა. იმასაც ამბობდნენ, მაშინდელი თავკაცი დავით ყიფიანი ამათ იოლად შეელევაო.

ყოველივე ამას ჰეპატიტიც დაემატა და ალეკოზეც რახანია არაფერი გვსმენოდა. „ლოკომოტივი" — „დინამოს" გუშინდელი სათასო მატჩისას შესვენებაზე ტრიბუნაზე მჯდომ გოგობერიშვილს მოვკარი თვალი...

— სიყვითლე მჭირდა, ამან კი, ფაქტობრივად, წელიწადი და ექვსი თვე გამაცდენინა. ახლა ჯანზე ვარ და ვარჯიშიც ნელ-ნელა დავიწყე. ჯერჯერობით „დინამოს" საკუთრება ვარ და ალბათ, ისევ იქ გავაგრძელებ თამაშს, თუ რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელები თანახმა იქნებიან. ეს საკითხი პირადად ჩემი და მათი გადასაწყვეტია. მანამდე კი ფიზიკური კონდიციების აღსადგენად მოსამზადებელ პერიოდს გუნდთან ერთად გავივლი.

**გიორგი ვაშაკიძე**



კახა გოგიჩაიშვილი

## გოგიჩაიშვილი ყოყმანობს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს კახა გოგიჩაიშვილს რუსეთის მეორე ლიგის ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან" კონტრაქტი დაუსრულდა და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. 30 წლის ნახევარმცველი ნიჟნი ნოვგოროდს მეორე წრის დასაწყისში ეწვია და გუნდს უძლიერესთა შორის დაბრუნებაში წაეხმარა. ახლა გოგიჩაიშვილი თბილისშია და წინადადებებს ელის, თუმცა პირადი საქმეების გამო შესაძლოა საფეხბურთო კარიერა სულაც დავასრულოო, აღნიშნა გოგიჩაიშვილმა ჩვენთან საუბრის ბოლოს.

**ვანო ოქროპირიძე**

## ჯერ დაიხოცნენ, მერე მოიკითხეს...

„იბერია" — „კოლხეთის" სამტრედიული დუელის დროს მეორე ტაიმის დასასრულისთვის კოლხი გვასალია და იმერელთა კარის დარაჯი გუბაზ დოლიძე ისე შეეჯახნენ, ლამის სული გააძვრეს ერთმანეთს. გვასალიამ გოლის გატანა კი მოახერხა, მაგრამ სამტრედიელთა მეკარის ბუცი მუხლზე მოხვდა, გვარიანი იარაც დაუტოვა ზედ და როგორც ჩანს, სერიოზულადაც დაშავებულა ფოთელთა მეცხრე ნომერი, რახან მან ქუთაისის „ტორპედოსთან" განმეორებითი სათასო შეხვედრა გამოტოვა.

თავის მხრივ, თამაშის მერე გუბაზ დოლიძეც ფეხის ტკივილს უჩიოდა და ისიც ივარაუდა — მგონი, კუნთი გავიწყვიტეო. თუმცა ტრავმებს ფეხბურთელებისთვის ხელი არ შეუშლიათ, შეხვედრის მერე ერთმანეთის ამბავი ეკითხათ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ციმბირსაც ვითვისებთ?

ახლა რომ მოვყვეთ და მარტო ფეხბურთელებზე ვწეროთ, არა მგონია კარგი დახლი დაგვიდგეს. თქვენ რა, ქართველი მენეჯერები სხვა ქვეყნის მენეჯერებზე ნაკლებ გაქექილნი გგონიათ? არამც და არამც, უკვე კარგა ხანია აფუთფუთდნენ ჩვენი საქმოსნები და ზოგჯერ იმგვარად გაშლიან ხოლმე ბადეს, თქვენი მოწონებული.

ჩვენებურ საფეხბურთო საქმოსნთა შორსმხედველობას, აბა სხვას რას უნდა დავაბრალოთ სამტრედიაში კრასნოიარსკელი მავანი ბოგდანოვის სტუმრობა. გავიკითხეთ, გამოვიკითხეთ და ეს ტალიკი ბიჭიც, იბერიელი ჩომახიძის მსგავსად, საისრაელოდ გაუმზადებიათ.

ბადის გაშლა და ყამირის ათვისებაც ამგვარი უნდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უადგილო ხუმრობა

ფიფას პრეზიდენტი ერთდღიანი ვიზიტით სამხრეთ აფრიკაში იმყოფებოდა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას შეხვდა და ფიფას ღირსების ორდენი გადასცა. ამასთანავე იოზეფ ბლატერმა იმედი გამოთქვა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე გაიმართება.

— სავსებით ლოგიკური იქნება ტურნირის აფრიკაში ჩატარება. ამის დრო უკვე დადგა და თუ დავრწმუნდი, რომ აფრიკული ფეხბურთის მამები მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზებისთვის მზად არიან, ყველამ იცოდეს — ფიფა ამ ვარიანტს დაუჭერს მხარს. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულად რაიმეს თქმა ძალიან ძნელია, 2006 წლამდე ხომ დიდი დროა. ამას წინათ ინგლისში ვიმყოფებოდი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერთან საუბრისას იგივე ალვნიშნე — ამ საფეხბურთო ზეიმს ის ქვეყანა უმასპინძლებს, რომელიც ყველაზე კარგად მოემზადება და ფიფას მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ მიკერძოებას ადგილი არ ექნება, თუმც ჩემი სიმპათიები მაინც აფრიკის ვარიანტისკენ იხრება — ასეთი ორაზროვანი რამ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს შეფმა.

თავის მხრივ ფიფას პრეზიდენტს ვალში არც კოლორიტული, ნახევარი ცხოვრება პატიმრობაში მყოფი და სპორტის დიდი სიყვარულით გამოქმული მანდელა დარჩა. მან საპატიო სტუმარს სამხრეთ აფრიკის მოქალაქის წოდება და სიგელი უბოძა, ხოლო შემდეგ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა.

— ჩვენი ქვეყანა კვლავ დემოკრატიის მშენებლობის პროცესში იმყოფება, ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებული, მსოფლიოს ჩემპიონატის აფრიკის კონტინენტზე ჩატარება ამ პროცესს დიდად შეუწყობს ხელს. გვჯერა, რომ ფიფა და მისი თავკაცი მოწყალების თვალით გადმოგვხედავენ — მიმართა ბლატერს მანდელამ და ეშმაკური ღიმილით დაამატა, ჩემი სამუშაო გრაფიკი ძლიერ გადატვირთულია, ერთადერთი, რითაც ახლა შემიძლია პატივი დაგდოთ, ერთად სურათის გადაღებააო.

ბლატერს, ეტყობა, არ ესიამოვნა მანდელას ეს ხუმრობა, რომელიც უფრო თავის დაფასებას ჰგავდა და იქ შეკრებილ საზოგადოებას, პირველ რიგში სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის გასაგონად, კატეგორიული ტონით ამცნო — ახლა ციურიხში ჩავალ და იქ გერმანიის დელეგაციას მივიღებ, ქვეყნის, რომელიც ასევე აცხადებს პრეტენზიას მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზეო და ამით მანდელას აგრძნობინა, ფრთხილად იყავი, თორემ ამ ტურნირს ისევ „ბებერ კონტინენტზე" ჩავატარებო.



ნელსონ მანდელა და იოზეფ ბლატერი იოჰანესბურგში შეხვედრისას

REUTERS იოჰანესბურგიდან

# განა სხვაგან არ სჯობს?

ოთხშაბათს, როცა მსოფლიოს ჩემპიონებს ზინედინ ზიდანს და დიდიე დეშამპს წესით სტამბოლში „გალათასარაის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშათ, „იუვენტუსის" ფეხბურთელები ტურინში ჟურნალისტთა კითხვებს პასუხობდნენ. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფში მეხუთე ტურის ერთი მატჩი თურქეთისა და იტალიის ჩემპიონებს შორის, პოლიტიკური მიზეზის გამო გადაიდო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპული თამაში არ ჩატარდა, „გალათასარაის" და „იუვენტუსის" დაპირისპირებას გაცილებით დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ვიდრე ოთხშაბათს გამართული ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე შეხვედრას.

უფრო ზუსტად შეგახსენებთ ზემოხსენებული თამაშის ორი დეკემბრისთვის გადადების მიზეზს: ორიოდ კვირის წინ იტალიელმა სამართალდამცავებმა დააკავეს აბდულა ოჯალანი, თურქეთის ხელისუფლების მიერ სასტიკად შერისხული და 30 ათასი ადამიანის სიკვდილში ბრალდებული კაცი. ოჯალანი ქურთთა ლიდერი გახლავთ. მისმა თხუთმეტწლიანმა ამბოხებამ კი უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. თურქეთის ხელისუფლებამ იტალიის მთავრობას ოჯალანის მათთვის გადაცემა სთხოვა, მაგრამ აპენინელებმა იუარეს, ეს კი, ცხადია, ოჯალანის მსურველებს არ ესიამოვნათ. იტალიელთა ტყვის გამო ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ პოლიტიკის ფარგლებს საგრძნობლად გასცდა და სპორტსაც შეეხო — 25 ნოემბრისთვის დაგეგმილი „გალათასარის" და „იუვენტუსის" თამაში თავდაპირველად საეჭვო გახდა, შემდეგ კი საერთოდაც არ ჩატარდა. სტამბოლში ჩასვლა ტურინული კლუბის ხელმძღვანელობამ გარკვეული მოსაზრებების გამო იუარა. საქმე უსაფრთხოება ყოფილა. საკითხი უეფაშიც განიხილეს. ბევრი იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, შეხვედრა 2 დეკემბრისთვის გადაეტანათ.

— კლუბი თურქეთის დედაქალაქში რომ არ წავიდა, სწორად მოიქცა. ის, რომ უეფამ შეხვედრა გადაიტანა, ესეც დროული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ვთვლი, რომ ყველაფრის მიუხედავად „იუვენტუსი" ახლაც არ უნდა გაემგზავროს სტამბოლში. წასვლა ჩვენთვის საშიშია. მესმის, რომ თურქეთის სამართალდამცავებმა უსაფრთხოება აღგვითქვეს, მესმის, რომ მათ სტადიონზე დიდი რაოდენობის სამართალდამცავების შეყვანაც განაცხადეს, მაგრამ რაც უნდა იყოს, იქ წასვლა სახიფათოა. იტალიის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო თურქეთში ახლა ისეთი დაძაბული ვითარებაა, მეეჭვება, ჩვენ, იტალიური გუნდის წარმომადგენლები, არ აქვს დიდი მნიშვნელობა იტალიელნი თუ ფრანგები, კარგად მიგვიღონ. ვფიქრობ, შეხვედრის ნეიტრალურ მინდორზე გამართვა უკეთესი იქნება — ზინედინ ზიდანს მტკიცედ გადაუწყვეტია, სტამბოლში არ წავიდეს — ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ეს მხოლოდ ჩემი აზრია. თურქეთში წასვლა არც ერთ ტურინელს არ სწადია და ყველა იმას მოითხოვს, რომ „გალათასარაის" თურქეთში კი არა, სადმე სხვაგან, ნეიტრალურ მინდორზე დავუპირისპირდეთ. სხვა საქმეა, უეფა რას გადაწყვეტს.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ზიდანის გარდა დეშამპიც ეახლათ. მისი აზრი და საუბარი, წინა მოსაუბრისგან დიდად არ განსხვავდებოდა.

— სტამბოლში ჩასვლა მართლაც სახიფათოა. ჯობს მეტოქეს ნეიტრალურ მოედანზე შევხვდეთ. ამ შემთხვევაში ყოველგვარ გაუგებრობას თავიდან ავიცილებთ. ეს კი, ვფიქრობ, ჩვენთვის, მეტოქეებისთვის და უეფასთვისაც კარგი იქნება — განაცხადა დიდიე დეშამპმა.

პრესკონფერენცია პრესკონფერენციად, მაგრამ იტალიის ჩემპიონებს ვარჯიში ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ. მარჩელო ლიპი ფეხბურთელებს ძველებურადვე, მთელი დატვირთვით ავარჯიშებს — 2 დეკემბერს „იუვენტუსს" უპრინციპულესი შეხვედრა ელის.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ხმა აიმაღლა უეფას ვიცეპრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა თუ ერთ კვირაში მდგომარეობა არ დამშვიდდება, ვგონებ აჯობებს მატჩი კიდევ გარკვეული დროით გადავდოთო. მანვე მხარი დაუჭირა ზინედინ ზიდანის და დიდიე დეშამპის წინადადებას, პრინციპული შეხვედრა სადმე სხვაგან ნეიტრალურ მინდორზე ჩავატაროთო, თუმცა მატარეზემ ისიც დასძინა ეს მხოლოდ მაშინ, თუ მდგომარეობა გამოუვალი იქნებაო. მატარეზეს პოზიცია ადვილი მისახვედრია — იგი იტალიელია და შესაბამისად, სულაც არ სურს ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის წინააღმდეგ წავიდეს. უეფას ვიცეპრეზიდენტმა საუბრის ბოლოს ჟურნალისტებს განუცხადა: „უახლოეს დღეებში უეფა კიდევ ერთხელ განიხილავს მდგომარეობას და თუ საჭიროდ ჩათვლის, შესაძლოა მატჩს ნეიტრალურმა ქვეყანამ უმასპინძლოს, თუმცა ჯერ-ჯერობით თამაში 2 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი".

— გუშინ გვიან საღამოს თურქეთის სპორტის მინისტრმა იტალიელ კოლეგას შეუთვალა დეკემბრის ორში სტამბოლს მეწვიე, „გალათასარაი" — „იუვენტუსის" ჭიდილს ერთად ვუცქიროთო.

**ირაკლი ილაშვილი**



მარჩელო ლიპის და ზინედინ ზიდანს სტამბოლში წასვლა არ სურთ

REUTERS ტურინიდან

# დაბრუნება იტალიაში

რა პატარაა მსოფლიო. კაცი რომ იტალიაში რაღაცას იტყვის, არგენტინაში ექოა. ათასჯერ გამეორებულ ისტორიას თავიდან აღარ მოვყვებით. როგორ თქვა გასულ ზაფხულზე, საგაზეთო ინტერვიუში „რომას" ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა იტალიის საფეხბურთო ლიგას დოპინგი მოედოო, ყველამ კარგად იცის. ცნობილია გაგრძელებაც: დაიწყო გამოძიება და რომში მოქმედი საგანგებო ლაბორატორიის საქმიანობას ჩრდილი მიადგა. ოქტომბერში ლაბორატორია დახურეს. ეჭვობენ, რომ მისი თანამშრომლები აქა-იქ ანალიზის შედეგებს აყალბებდნენ.




დიეგო მარადონა 1984-91 წლებში „ნაპოლიში" თამაშობდა

რაო, აყალბებდნენო! ეს ხომ ის ლაბორატორიაა, 1991 წელს, „ბარისთან" მატჩის წინ, დიეგო მარადონას კოკაინის ყნოსვა რომ დაუმტკიცა.

რომში ნათქვამს ბუენოს აირესში კაცი გამოეხმაურა. თან რა კაცი, დიეგო მარადონა. თან როგორ გამოეხმაურა, ფულს ითხოვს, კომპენსაციას. რაკი ლაბორატორია ტყუოდა, ჩემს შემთხვევაშიც ასე იქნებოდაო, ხმა აიმაღლა 38 წლის ყოფილმა გენიოსმა.

რომაული ლაბორატორიის იმ საბედისწერო გადაწყვეტილების საფუძველზე მარადონას 15 თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ის იყო და ის, იმ დღის შემდეგ დიეგო იტალიაში აღარ ჩასულა.

დიეგო მარადონა იტალიაში, კერძოდ „ნაპოლიში" 1984-91 წლებში თამაშობდა. უდიდესმა ფეხბურთელმა ნეაპოლის გუნდს ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა და ერთხელ უეფას თასი მოაპოვებინა, 91-ში კი ქუდი დაიხურა და წავიდა. უფრო სწორედ გააგდეს.

მარადონა რომ ნარკომანია, მთელმა დედამიწამ იცის. იცის თავად მარადონამაც, თორემ შვეიცარიულ კლინიკას სამკურნალოდ არ მიაკითხავდა. იცის, მაგრამ ეტყობა მაშინ, შვიდი წლის წინ, ძალიან შეელახა თავმოყვარეობა და ამიტომაც ჩივის.

ოთხშაბათს ის იტალიაში უნდა დაბრუნებულიყო. მისმა რომაელმა ვექილმა, ენცო სინისკალიმ დაადგინა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას არგენტინელთან სადავო აღარაფერი აქვს. დიეგო შაბათს სატელევიზიო შოუშია მიწვეული.

ძალიან პატარაა მსოფლიო.

**მიხეილ სურგულაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგმა** ნახევარმცველმა ჟან-მიშელ ფერიმ შესაძლებელია კარიერა ინგლისურ „ლივერპულში" გააგრძელოს. ცნობილია თანხაც, რომელსაც შეთანხმების შემთხვევაში ფერის ამჟამინდელი კლუბი, თურქული „ისთანბულსფორი" მიიღებს — 1,7 მილიონი გირვანქა (2,81 მილიონი დოლარი). „ფერი დღესდღეობით ლივერპულში იმყოფება და ჩვენ მასთან სისტემატურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის და ფეხბურთელიც მალე, ალბათ, ჩვენი კლუბის მაისურს მოირგებს" — აღნიშნა მერსისაიდული კლუბის პრეს-მდივანმა.

**შოტლანდიის ნაკრების თავკაცმა კრეიგ ბრაუნმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ნაკრებში კვლავ იხილოს ახლახან ლივერპულის „ევერტონიდან" „ნიუკასლ იუნაიტედში" გადასული დანკან ფერგიუსონი. ეს უკანასკნელი, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ თქვა, ეროვნულ გუნდში აღარასდროს ვითამაშებო, ბრაუნის სურვილის მომხრე ყოფილა. მაშინ ფერგიუსონი შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციაზე განაწყენდა, რომელმაც მეტოქე გუნდის ფეხბურთელის შეურაცხყოფისთვის ზომაზე მკაცრად დასაჯა.**

**ბრაზილიელი** მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა, რომლის თავკაცობითაც 1994 წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შესაძლოა, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში. იგი ახლაც იოჰანესბურგში იმყოფება ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტს მან შემდეგი განუცხადა: „უახლოეს დღეებში შინ დავბრუნდები და კარგად გავაანალიზებ ყველაფერს. სავსებით შესაძლებელია ამ საქმეს ხელი მოვკიდო, ვინაიდან დიდი ხანია, ვაკვირდები აქაურ ფეხბურთელებს და მათში დიდი პოტენციალი დავინახე. უბრალოდ, მათ გამოცდილება აკლიათ." სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ფილიპ ტრუსიეს წასვლის შემდეგ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მრავალი კანდიდატურა განიხილა, მაგრამ პარეირას ვიზიტის შემდეგ უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. ყველაფერი უახლოს მომავალში გაირკვევა.

# A ჯგუფი

## აიაქსი 0:1 კროაცია

0:1 ი. სიმიჩი (68)

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ფ. დე ბური, სიერი (მელხიოტი 42), რ. დე ბური, ვიჩზე დანი, ვამბერტო (ბაბანგიდა 72), პოსი (მაკართი 64), პუქსტრა

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, კრჟნარი (იურჩიჩი 45), მარიჩი, იურიჩი, რუკავინა (საბიჩი 80), დ. სიმიჩი, სარიჩი (ი. სიმიჩი 53), ცვიტანოვიჩი, იელიჩიჩი, ბისკანი

## ოლიმპიაკოსი 2:1 პორტუ

1:0 გოგიჩი (17), 2:0 ჯორჯევიჩი (55), 2:1 ზაჰოვიჩი (76)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, პურსანიდისი, იანაკოპულოსი (პასალისი 53), გოგიჩი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, კარაპიალისი, გეორგატოსი, ალექსანდრისი, ანატოლაკისი

პორტუ: კორეია, სეკრეტარიო, ალოიზიო, ფერნანდო მენდეში, ჟორჟე კოშტა, დორივა, კარლოს კაინო (რუი ბარუში 52), ზაჰოვიჩი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ჟარდელი

„აიაქსი“ ალარ არსებობს. ის ამსტერდამული კლუბი, რამდენიმე წლის წინ შინ თუ სტუმრად ყველას რომ ანადგურებდა, თვალსა და ხელს შუა გაქრა. ფეხბურთელები ევროპულ გრანდებში გაითქვიფნენ, მწვრთნელმა ლუის ვან გაალმაც ტიტების ქვეყნიდან პირენეის ნახევარკუნძულს მიაშურა, „აიაქსი“ კი შინ, ჰოლანდიაში დარჩა. იმ დიდი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი დღესაც თამაშობს „აიაქსში“, მაგრამ არც ხალისი აქვთ და ერთთავად სეზონის დასრულებას ელიან. ახლები მთლად ძლიერები ვერ არიან და რაც მთავარია, გუნდს მწვრთნელი არ უვარგა — მორტენ ოლსენი ნამდვილად არაა ის კაცი, ასეთი კლუბის ხელმძღვანელობა რომ შეძლოს.

ამსტერდამელები „კროაციამ“ დაამარცხა და ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ გუნდში შეუთანხმებლობაა. „აიაქსს“ მეოთხედფინალში გასვლის შანსი კი აქვს, მაგრამ საეჭვოა, შემდეგ ეტაპზე გააღწიოს.

„ის კლუბი, ქომაგთა სიყვარული რომ დაიმსახურა, შინ დასამარდა“ — წერდა „ალგემენ დაგბლადი“ და ზუსტად აღწერდა იმ სიტუაციას, რაც ოთხშაბათ საღამოს „ამსტერდამ არენაზე“ სუფევდა. ხორვატებმა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდნენ, მთელი შეხვედრა მობილიზებულებმა ჩაატარეს, გუნდური ფეხბურთი კი სწორედ ის მახვილი გამოდგა, მასპინძლები რომ დალახვრა.

შეცვლაზე შესულმა იოსიპ სიმიჩმა ვან დერ სარის კარი დალაშქრა, მისმა გოლმა კი „კროაციას“ გამარჯვება მოუტანა. ხორვატებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგეს. „აიაქსს“ გაუთანაბრდნენ და ბოლო ტურის წინ მეოთხედფინალში გასვლის შანსი გაზარდეს.

— ახლა, ბოლო შეხვედრაში, ქომაგთა მხარდაჭერა გვჭირდება. გავიმარჯვებთ და წინ წავალთ, არადა... ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ!“ — „კროაციას“ მწვრთნელი ველიმირ ზაიეცი დახმარებას გულშემატკივრებს სთხოვს. პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ ზაგრებში მართლაც რთული მატჩი ელის.

„აიაქსმა“ გოლი კი გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს — 32-ე წუთზე ჩია ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ვამბერტომ რონალდ დე ბურის კუთხურის შემდეგ შეაგდო ბურთი, მაგრამ იმ მომენტში „კროაციას“ მეკარე დრაჟენ ლადიჩი დაეცა, მსაჯმა კი წესების დარღვევა აღნიშნა და გოლი გააუქმა.

ამსტერდამელთა ქართველ ლეგიონერებს არ უთამაშიათ. შოთა არველაძეს, ისევე როგორც იარი ლიტმანენს, ტრავმა აწუხებდა, გიორგი ქინქლაძე კი მორტენ ოლსენმა გარკვეული მოსაზრებების გამო არ გაიყვანა მინდორზე.

თუ A ჯგუფის ერთ შეხვედრაში მასპინძელმა წააგო, მეორე თამაში „ოლიმპიაკოსმა“ „პორტუს“ სძლია. პორტუგალიელებმა უსუსურად ითამაშეს, ყოველივე ამას 70 ათასი ბერძენის ხმაურიანი ქომაგობა დაერთო და ტაბლოზე 2:1 აციმციმდა პირეოსელთა სასარგებლოდ.

— რთული შეხვედრა იყო, რომლის გმირიც უდავოდ დიმიტრიოს ელეფტეროპულოსი გახლდათ — „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი დუშან ბაევიჩი კლუბის ახალგაზრდა მეკარის მოქმედებით აღფრთოვანებული გახლდათ.

ელეფტეროპულოსმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა: უამრავი სახიფათო მომენტი გააუვნებელყო. სტუმართა ბრაზილიელ თავდამსხმელს ჟარდელს ორჯერ ერთი-ერთზე აჯობა და ყოველივე ეს მოგერიებული პენალტით დააგვირგვინა — მეორე ტაიმის დასაწყისში „პორტუს“ ლუბინკო დრულოვიჩს შეეძლო მასპინძლების დამწუხრება, მაგრამ თერთმეტი მეტრიდან დარტყმული ბურთი ელეფტეროპულოსმა კარში არ შეუშვა.

— დროა, ვიტიროთ. საშინელებაა, როცა არ გიმართლებს. „პორტუ“ კარგი გუნდია და სამწუხაროა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მიღმა დარჩა. შედეგმა ძალიან დამწყვიტა გული — „პორტუს“ მწვრთნელ ფერნანდო სანტოსს გუნება წახდენოდა.

პორტუგალიის ბოლო წლების ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა.

# B ჯგუფი

## რუსენბორგი 2:1 ბილბაო

1:0, 2:0 სორენსენი (2, 50), 2:1 ხორხე პერესი (90)

რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, პედერსენი, სტრანდი (ვინსნესი 79), სკამელსრუდი, ბერგი (მეიერი 90), სორენსენი (დალუმი 84), რუშფელდტი, იაკობსენი

ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ურუტია (ურსაისი 46), იმასი, გერერო (ხორხე პერესი 60), ესკურო, ლარასაბალი (კარლოს გარსია 46), ფერეირა, ხ. ეჩებერია, ალკისა, რიოსი

ჩემპიონთა ლიგის ექვსი ჯგუფიდან მეორე ერთადერთია, სადაც მეხუთე ტური არ დასრულებულა — კარგად ცნობილი მიზეზის გამო „გალათასარაიმ“ შინ ვერ უმასპინძლა „იუვენტუსს“. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრას ტრონჰეიმში საფრთხე არ დამუქრებია.

ბასკ ფეხბურთელთა გამარჯვება ნორვეგიაში სათუო იყო და მოლოდინი გამართლდა კიდეც — მასპინძელმა „რუსენბორგმა“ იმარჯვა, სამი ქულაც მოიპოვა და ჯგუფის ლიდერიც გახდა. რამდენი ხნით, არავინ იცის.

— სამწუხაროა, რომ ლიგაში ბრძოლას ვერ გავაგრძელებთ. ძალიან მსურდა, გუნდი ღირსეულად გამოსულიყო ევროპის უძლიერეს კლუბთა შეჯიბრში, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხერხდა. იმედია, სხვა დროს „ბილბაო“ ჩემპიონთა ლიგაში მეტს მიაღწევს — ლუის ფერნანდესმა, სტუმართა მწვრთნელმა, პრესკონფერენცია ომახიანად დაასრულა.

„რუსენბორგის“ წარმატებაში ეჭვი არავის შეპარვია — ახოვანი სკანდინავიელები ორთაბრძოლაში ხშირად ჩაგრავდნენ ესპანელებს, ბურთსაც უმეტესწილად ისინი ფლობდნენ. საერთო ჯამში კი სტუმრებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. ნორვეგიელებმა იმანოლ ეჩებერიას კარი მხოლოდ ორჯერ დალაშქრეს, არადა, ცოტა იღბალი რომ ჰქონდათ, მეტი გოლი უნდა გაეტანათ. ვერ მოახერხეს.

ბილბაოელთათვის განგაშის ზარი პირველად (ისევე როგორც მეორედ) იან დერეკ სორენსენმა შემოჰკრა — იმანოლ ეჩებერამ ბურთი უხეშად მოიგერია, მეორედ კი თავდამსხმელის დარტყმას წინ ველარ აღუდგა. სხვაობა იმავე სორენსენმა გაზარდა. პირველი გოლი მან მეორეწუთზე გაიტანა, მეორეჯერ კი მეორე ტაიმის დასაწყისშივე იყოჩაღა — 2:0. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ხორხე პერესმა კი გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ ბასკები მეტის გამკეთებელნი აღარ იყვნენ.

ესპანეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსანთა სვლა ლიგაში ბოლო ტურში დასრულდება. ოთხშაბათს გადაწყდა, რომ ისინი მეოთხედფინალში ვერ იასპარეზებენ.

# C ჯგუფი

## ინტერი 3:1 რეალი

1:0 სამორანო (50), 1:1 ზეედორფი (58), 2:1, 3:1 ბაჯო (86, 90)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, გალანტე, ვესტი, სოუზა (კოუ 74), სიმეონე, ვინტერი, მორიერო (ძანეტი 57), სამორანო (ბაჯო 68), რონალდო

რეალი: ილგნერი, სანჩისი (შუკერი 88), სანსი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი (იარნი 80), რედონდო, ხაიმე, რაული, ზეედორფი, სავიო, მიატოვიჩი

## სპარტაკი 0:0 შტურმი

სპარტაკი: ფილიმონოვი, გორლუკოვიჩი, ხლესტოვი, ციმბალარი, ბუშმანოვი, ანანკო, ბარანოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო (ბუზნიკინი 68), რობსონი (კანიშჩევი 53)

შტურმი: სიდორჩუკი, მილანიჩი, მაილიხი, შუპი, ვასტიჩი, ჰაასი (ბაბალადე 90), პრილასნიგი, პოში, შოპი, კოციანი (მარტენსი 82), პოპოვიჩი

— ჩვენ სათამაშო პრქტიკა გვაკლდა, მართალია, მატჩამდე ერთი კვირის განმავლობაში შეკრება გვქონდა და ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც კარგად მოვემზადეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ — ჩვენ გვაკლდა მთავარი — სათამაშო პრაქტიკა — წამდაუწუმ იმეორებდა მოსკოვის „სპარტაკის“ თავკაცი. თუმც რომანცევს და კომპანიას თავის მართლება ველარ უშველით, ახლა „სპარტაკმა“ სტუმრად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა მოუგოს მადრიდის „რეალს“, რათა უძლიერეს რვა გუნდს შორის დაიბევოს ადგილი. ეს მართლაც ძალიან საინტერესო, ალბათ, ტურის ცენტრალური შეხვედრა იქნება.

გუშინწინდელ მატჩს რაც შეეხება, იგი 0:0 დასრულდა და მოსაყოლიც არაფერია — „ლუჟნიკებზე“, რომლის მინდორიც უფრო ვაიოს ველებს ჰგავდა, ვიდრე საფეხბურთო მოედანს, სუსხიან ამინდში ორი უსახური გუნდი ცდილობდა, რაიმე შეექმნა. რა გამოუვიდათ, ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. მსაჯის საფინალო სასტვენს სტუმართა მხრიდან ისეთი რეაქცია მოჰყვა, გეგონება, ეს ესაა ჩემპიონთა თასი მოეგოსო, თუმცა მათი სიხარული გასაგებია — „შტურმმა“ ხომ მოსკოვში პირველი ქულა მოიპოვა. ავსტრიელთა კმაყოფილმა დამრიგებელმა ივიცა ოსიმმა მატჩის შემდეგ რუსები შეაქო, „სპარტაკი“ მშვენიერი გუნდია და დიდ სიმპათიებს იმსახურებსო, მაგრამ მოსკოველებისთვის ეს ნუგეშად ნამდვილად ვერ გამოდგება — მათ თავად შეიქმნეს პრობლემა.

რუსეთის დედაქალაქისგან განსხვავებით, მილანში დიდებული ფეხბურთი გაჩაღდა. არც არის გასაკვირი, განა შეიძლება, „ინტერისა“ და მადრიდის „რეალის“ დაპირისპირება უინტერესო იყოს? თავიდან მასპინძლები ფლობდნენ უპირატესობას, ბურთსაც აკონტროლებდნენ და სახიფათოდაც უტევდნენ.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, გამოცოცხლებული ჩანდა რონალდო, რომელიც ძალიან ბევრს და სასარგებლოდ მოძრაობდა. როგორც ყოველთვის, აქტიურობდა ივან სამორანოც. ამ დუეტმა პირველ 15 წუთში მეტად შეაწუხა მადრიდელთა დაცვა და ამით დაამტკიცა, რომ ფერნანდო იერო ჩინებული მცველია — მის არყოფნაში „რეალის“ კარის მისადგომებთან აშკარად სიცარიელე იყო და მის ამოვსებას ივან კამპო და სანსი ვერაფრით აზერხებდნენ. თუმცა „ინტერის“ თავდასხმამ შემდგომში ნელ-ნელა უკლო, რითაც სტუმრებს მოედნის დაპყრობის საშუალება მისცა.

პირველი გოლი მაინც „იტალიელებმა“ გაიტანეს — რონალდოს დარტყმული ბურთი სამორანოს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ბოდო ილგნერის კარში აღმოჩნდა. „რეალს“ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა — უნდა შეეტია. შეუტია კიდეც და მალე კლარენს ზეედორფმა სავიოს კარგი გარღვევის და პასის შემდეგ თავით გაუტანა პალიუკას — 1:1.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ახლა „ინტერს“ უნდა დაევიწყებინა დაცვა და მთელი ძალები წინ, მადრიდელთა საჯარიმოში გადაესროლა. მილანური კლუბი ასეც მოიქცა და აღმოჩნდა, რომ რისკმა გაამართლა, თანაც „სან სიროზე“ რობერტო ბაჯო გამოჩნდა, სულ რაღაც 25 წუთით, მაგრამ ეს მისთვის სრულიად საკმარისი ყოფილა.

ბაჯო ისეთი გახარებული, როგორიც 86-ე წუთზე იყო, იშვიათად თუ ვინმეს უნახავს. არადა, მისი დარი ფეხბურთელი ერთი-ორი თუ აგორებს დღეს ბურთს — მან ესპანელებს მეორე გოლი გაუტანა და, შეიძლება ითქვას, მილანის „ინტერს“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გზა გაუხსნა, თუმცა არც ამით დაკმაყოფილებულა და მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოედნის სიღრმიდან მიღებული კარგი გადაცემის შემდეგ ჯერ ილგნერი მოატყუა ლამაზად, შემდეგ კი ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ერთი სიტყვით, მადრიდის „რეალი“ ბაჯომ გატეხა წელში დ მისი ჯგუფიდან გასვლა საეჭვო გახადა.



ინტერი — რეალი. მადრიდელი ივან კამპო და მილანელი ივან სამორანო ბურთისთვის იბრძვიან

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | ⚽ | 2:0 | 1:0 | 2:1 | 7:5 | 10 |
| 2 | კროაცია | 09.12 | ⚽ | 0:0 | 3:1 | 4:6 | 7 |
| 3 | აიაქსი | 2:0 | 1:2 | ⚽ | 2:1 | 4:3 | 7 |
| 4 | პორტუ | 09.12 | 2:2 | 3:0 | ⚽ | 8:9 | 4 |

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | ⚽ | 3:0 | 1:1 | 2:1 | 7:6 | 8 |
| 2 | გალათასარაი | 3:0 | ⚽ | 2.12 | 2:1 | 7:6 | 7 |
| 3 | იუვენტუსი | 09.12 | 2:2 | ⚽ | 1:1 | 4:4 | 4 |
| 4 | ატლეტიკი | 1:1 | 09.12 | 0:0 | ⚽ | 4:6 | 3 |

| ⚽ | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | ⚽ | 3:1 | 2:1 | 1:0 | 7:5 | 10 |
| 2 | რეალი | 2:0 | ⚽ | 09.12 | 6:1 | 15:7 | 9 |
| 3 | სპარტაკი | 1:1 | 2:1 | ⚽ | 0:0 | 6:4 | 8 |
| 4 | შტურმი | 09.12 | 1:5 | 0:2 | ⚽ | 2:14 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## D ჯგუფი

### ბაიერნი 2:0 ბრონდბიუ

1:0 იანკერი (51), 2:0 ბასლერი (57)
ბაიერნი: კანი, მათეუსი, შტრუნცი, ბაბელი, კუფური, ლისარასუ, ბასლერი, იერემისი (ფინკი 70), ტარნატი, ელბერი (სალიჰამიჯიჩი 84), ციკლერი (იანკერი 46)
ბრონდბიუ: ანდერსენი, ბიური, ნილსენი (და სილვა 68), იენსენი, დუგარდი, სანდი, ჰანსენი (კრისტენსენი 70), კოლდინგი, ბაგერი (ლინდრუპი 65), სკარბალიუსი, რასმუსენი

### ბარსელონა 3:3 მანჩესტერი

1:0 ანდერსონი (2), 1:1 იორკი (25), 1:2 კოული (52), 2:2 რივალდო (56), 2:3 იორკი (67), 3:3 რივალდო (72)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფიგუ, სელადესი, ანდერსონი, ჯოვანი, რივალდო, სერხი, ოკუნოვო, ზენდენი, ხავი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბექემი (ბათი 80), კოული, ბლომკვისტი, კინი, სქოულზი, იორკი, ბრაუნი

## E ჯგუფი

### დინამო 2:1 პანათინაიკოსი

0:1 ლაგონიკაკისი (35), 1:1 რებროვი (72), 2:1 ბასინასი (79 ს.კ.)
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ფიოდოროვი, დმიტრულინი, კარდაში (მიხაილენკო 77), გუსინი, ხაცკევიჩი, კოსოვსკი (ბელკევიჩი 46), შევჩენკო, რებროვი
პანათინაიკოსი: ვანძიკი, ლაგონიკაკისი, ბასინასი, ვოკოლოსი, ალექსოპულოსი, კიასოსი (და სილვა 83), კონსტანტინიდისი, ასანოვიჩი, აპოსტოლაკისი (კოლა 77), ვარჟიხა, ლიბეროპულოსი

### არსენალი 0:1 ლანსი

0:1 დებევი (73)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი (ბოულდი 46), კიოუნი, უინთერბერნი, პარლოუ, გარდე (ვივასი 69), ჰიუზი, ოვერმარსი, ვრე (ბოა მორტე 69), ანელკა
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, მანიე, დეუ, ლაშო, დებევი, ნიარკო, რული, შმიცერი (მორეირა 81), ნუმა (ელუა 61), ვერელი

## F ჯგუფი

### ჰიკ 1:3 ეინდჰოვენი

0:1, 0:2 ვან ნისტელროოი (29, 67), 1:2 ლეჰკოსუო (70პ), 1:3 ვან ნისტელროოი (81პ)
ჰიკ: კოივისტოინენი, ტიჰინენი (ფორსელი 83), ტურპინენი, ნილანდი, საასტამოინენი, კანერვა (ლუის ანტონიო 46), რიიჰილაჰტი, ლეჰკოსუო, პირაკაია, კოტილა, კუქი (კოპტეფი 72)
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ქსავიერი, ნიკიფოროვი, ვან დერ ვეერდენი, ოიენი, ივანი, ხოხლოვი, ვან დერ დულენი, კოლკა, ვან ნისტელროოი, ნილისი (ბრუგინკი)

### ბენფიკა 2:1 ლაუტერნი

1:0 ნუნო გომეში (31), 2:0 ჟოაო პინტუ (69), 2:1 რიშე (90)
ბენფიკა: ოვჩინიკოვი, ელ ხალეჯი, მინტო, მადეირა, გუიარო, სალადო, პემბრიჯი, ლეალი, პობორსკი, ჟოაო პინტუ, ნუნო გომეში
ლაუტერნი: რაინკე, რამზი, იბრაჰიმი, როოსი (კოხი 46), ბაკი (ჟუნიორი 46), ბალაკი, ხრისტოვი, ოჯიგვე (რიშე 53), რიდლი, რაიხი, მარშალი




ბარსელონა — მანჩესტერი. შეუდარებელი რივალდო (მარცხნივ) და იაპ სტამი

„კამპ ნოუმ“ კვლავ დიდი ფეხბურთი იხილა, დაახლოებით ისეთი, როგორიც სექტემბერში „ოლდ ტრეფორდმა“. ოღონდ გუშინწინდელი შეხვედრა გაცილებით დაძაბული იყო — ბევრი რამ წყდებოდა. „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრძოლის მეორე რაუნდი ერთნაირი შედეგით — 3:3 დასრულდა. კატალონიაში ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გაიხსნა — ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა აჯობა შმაიხელს. შემდეგ ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა გაქვითა, რასაც ენდი კოულის მეორე გოლი მოჰყვა და სტუმრებიც დაწინაურდნენ — 2:1.

65-ე წუთზე წონასწორობა კვლავ აღდგა, შეუდარებელმა რივალდომ საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. აბობოქრდა მრავლისმნახველი „კამპ ნოუ“, ესპანელ ქომაგებში იმედმა დაისადგურა და „ბარსელონამაც“ თავდავიწყებით შეუტია, მაგრამ მალე სტადიონზე შეკრებილი დაახლოებით 100 ათასი გულშემატკივარი კვლავ გაირინდა, იორკმა ლამაზი თავურით კიდევ ერთხელ დააწინაურა „მანჩესტერი“, დუბლი შეასრულა და მასპინძლები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. ეს 67-ე წუთზე მოხდა, „ბარსელონას“ სულ ცოტა 23 წუთი ჰქონდა, რათა გამარჯვებისთვის მიეღწია და 9 დეკემბერს იმედით დალოდებოდა.

და ისევ რივალდო, დღესდღეობით პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. მან თავისიანების გაჭირვების ჟამს კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და დაამტკიცა თავისი ძლიერება. ჯერ მისი გოლი იყო, ძალიან ლამაზი — ბურთი მკერდზე ისე გაიჩერა, მარტო ბრაზილიელებმა რომ იციან, შესანიშნავი „მაკრატელათი“ გამოცდილ შმაიხელს მეორედ გაუტანა და მოედანზე თავიდან „დაანთო ცეცხლი“. რამდენიმე წუთში რივალდოს საკმაოდ შორიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი ზედა ძელს რომ არ მოხვედროდა და კარში აღმოჩენილიყო, იმ „ცეცხლს“ შეიძლება ინგლისელები დაეწვა კიდეც, მაგრამ იღბალი კატალონიის დედაქალაქში აღარ იმყოფებოდა, იგი დიდი ხანია მიუნხენშია...

თუმცა მარტო იღბალიც არ გახლავთ გერმანელთა წარმატების საწინდარი. ჯგუფური ტურნირის დასაწყისში ცხრილის ფსკერზე დაფუძნებულმა „ბაიერნმა“ დიდი ნებისყოფა გამოავლინა, რაც მისთვის უცხო ხილი ნაღდად არ არის და ახლა უკვე ჯგუფში პირველ ადგილზეა — „სიკვდილის ჯგუფში“.

ოთხშაბათს მიუნხენელებმა საკადრისი მიუზღეს მათთვის მოულოდნელად სამი ქულის წამრთმევ „ბრონდბიუს“. შეხვედრა არ იყო ბარსელონურივით ლამაზი, მაგრამ გერმანელები სილამაზეს მსხვერპლს არასდროს სწირავენ, ისინი ყოველთვის მხოლოდ საქმეს აკეთებენ. ასე იყო დანიელებთან მატჩშიც — „ბაიერნი“ ნელ-ნელა შლიდა მეტოქის დაცვას და მეორე ტაიმის დასაწყისში ორჯერ გაიხარა — ჯერ იანკერმა, შემდეგ კი ბასლერმა გაიტანეს, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისა და ჰაერივით საჭირო სამი ქულისთვის.

ასეთი, ორი განსხვავებული შეხვედრა გაიმართა ორი დღის წინ D ჯგუფში. ძალიან სამწუხაროა, რომ „ბარსელონა“ და რივალდო ამ ჯგუფიდან ვეღარ გავლენ, ამით მხოლოდ გულშემატკივარი წაგებს, მაგრამ რას იზამ, ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება. ორი კვირის შემდეგ კი „ოლდ ტრეფორდზე“ მეოთხედფინალისტის, ან შეიძლება მეოთხედფინალისტების ვინაობა გაირკვეს.

„უემბლიზე“ ფრანგული სული ტრიალებდა — „არსენალი“ მასპინძლობდა „ლანსს“. ლანსში, პირველი წრის შეხვედრა 1:1 დამთავრდა, ოთხშაბათს კი ინგლისელთა სამსახურში ჩამდგარი თანამემამულეების გუნდს სამშობლოს ჯერჯერობით ერგთულებმა მოუგეს.

„არსენალის“ ფრანგები უმეტესად სკამზე ისხდნენ, მოედანზე მხოლოდ ნიკოლა ანელკა იყო. მსოფლიოს ჩემპიონი, ემანუელ პეტი მართალია ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მაგრამ თამაშის ნება არ ჰქონდა — დისკვალიფიცირებული გახლდათ. ნაკრებსა და კლუბში მასთან განუყრელ პატრიკ ვიეირას კი მინდორზე გასვლას არავინ უკრძალავდა, ის დაშავებული იყო.

კიდევ ერთი ფრანგი, მწვრთნელი არსენ ვენგერი თავის ადგილას, სათადარიგოთა სკამზე ბრძანდებოდა და იქიდან ხელმძღვანელობდა მეტოქეებს.

ჩამომსხდარ ფრანგებს გვერდს ჰოლანდიელი თავდამსხმელი, დენის ბერხკამპიც უმშვენებდათ. ბერხკამპიც საექიმო გახლავთ.

საფინალო სასტვენის შემდეგ გამარჯვებულნიცა და დამარცხებულნიც ათ-ათი კაცით შევიდნენ გასახდელებისკენ მიმავალ დერეფანში: შვედმა მსაჯმა ანდერს ფრისკმა ლონდონელებს რეი პარლოუ გაუძევა მოედნიდან, ხოლო ლანსელებს ტონი ვერელი.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მიშელ დებევმა მეორე ნახევრის ბოლო მონაკვეთში გაიტანა. დებევს ასისტენტობა ჩეხმა ვლადიმირ შმიცერმა გაუწია.

ხელსაყრელი საგოლე მომენტები სტუმართაგან ვერელმა და პასკალ ნუმამ, მასპინძელთაგან კი მარკ ოვერმარსმა გაუშვეს ხელიდან.

— ეს იყო ტრაგედია — ლონდონიდან შორს, კიევში, რესპუბლიკური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, „დინამოსა“ და „პანათინაიკოსის“ მატჩის შემდეგ ბერძენთა მწვრთნელმა ვასილის დანიელმა მეტი ვერაფერი თქვა.

— ეს იყო ძალიან ძნელი შეხვედრა — განაცხადა დანიელის კიეველი კოლეგის, ვალერი ლობანოვსკის ასისტენტმა ალექსეი მიხაილიჩენკომ — ზამთრის მინდორზე ჩვენმა ბიჭებმა უტეხი ხასიათი და გამარჯვების წყურვილი გამოავლინეს.

უკრაინელებს „პანათინაიკოსთან“ გამარჯვებამ ერთი მწარე მოგონება დაუტკბო: 1995 წელს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ამავე გუნდების შეხვედრის წინ ესპანელი არბიტრის ანტონიო ლოპეს ნიეტოს მოქრთამვის სურვილმა კიევის გუნდს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია არგუნა. ახლა, სამი წლის შემდეგ, „დინამომ“ დაამტკიცა, რომ „პანათინაიკოსის“ დამარცხება მსაჯის დახმარების გარეშეც შეუძლია.

არადა ბერძნებმა, ამ შეხვედრამდე ჯგუფის სათავეში რომ იყვნენ, პირველ ტაიმში ანდრეას ლაგონიკაკისის დარტყმით გახსნეს ანგარიში, მაგრამ შესვენების შემდეგ ჯერ სერგეი რებროვმა მერე კი თავად „პანათინაიკოსის“ მცველმა ბასინასმა, კიეველთა გამარჯვება გამოადნეს.

კვლავ ალექსეი მიხაილიჩენკო: — მეორე ტაიმში ცუდად მოთამაშე კოსოვსკის ნაცვლად მინდორზე ვალენტინ ბელკევიჩი შევიყვანეთ, რომელმაც ჩვენს თავდასხმას სიმწვავე შემატა. შედეგად ბერძნებს დაცვაში გაუჭირდათ და საბოლოოდ გატყდნენ კიდეც.

„ეინდჰოვენმა“ ჰელსინკიში გაიმარჯვა, ასე რომ, სრული უფლება აქვს მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნება განაგრძოს. მას ჯგუფში მეორე ადგილის მოპოვების გასვლის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს.

„ფილიპსის“ მოჯამაგირე-ფეხბურთელთაგან ყველაზე შთაგონებული თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტერლოოი გახლდათ. მან ჰეთ-თრიკი შეასრულა.

პირველი გოლი ნისტერლოოიმ თავურით გაიტანა, მეორე ბელგიელი ლუკ ნილისის გონივრული პასით, მესამე კი თერთმეტი მეტრიდან.

ნისტერლოოის მეორე და მესამე გოლებს შორის ტრიბუნებზე შეკრებილ 34 146 ჰელსინკელ გულშემატკივრებს იმედი ჩაესახა, რადგან მიკა ლეჰკოსუომ პენალტით შეამცირა სხვაობა, მაგრამ...

იმავე დროს, იმავე ჯგუფში, „ბენფიკს“ ჩეხი ვარსკვლავი კარელ პობორსკი თანაგუნდელებს ჩინებული პასებით მიუძღვებოდა ლიდერის, „კაიზერსლაუტერნის“ ძლევისკენ.

თავდაპირველად პობორსკიმ 31-ე წუთზე გაიბრწყინა, როდესაც ნუნო გომეშს დახვეწილი პასით გაახსნევინა ანგარიში, მერე კი, 69-ეზე, კაპიტანს ჟოაო პინტუს მეორედ დააძლევინა გერმანელთა მეკარისა და დაცვის წინააღმდეგობა.

გომეშმა და პინტუმ ამ შეხვედრაში თითო აშკარა საგოლე მომენტიც გაუშვეს ხელიდან.

საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელმა იურგენ რიშემ ლისაბონელებს ერთი გოლით უპასუხა.

ლიდერთან გამარჯვებამ „ბენფიკას“ მეოთხედფინალში გასვლის შანსი და მწვრთნელი, შოტლანდიელი გრემ სუნესი შეუნარჩუნა. სუნესს სალიგო წარმატების შემდეგ ალბათ აღარ მოხსნიან თანამდებობიდან.

ალსანიშნავია, რომ ლისაბონელმა გულშემატკივარმა ბოლოხანს კლუბზე გული აიცრუა, რაც ოთხაშაბათს ნათლად გამოჩნდა — სტადიონზე მხოლოდ 20 ათასი კაცი მივიდა.




ჰიკ — ეინდჰოვენი. ვან ნისტელროოისა და ტურპეინენის (№3) საჰაერო ორთაბრძოლა

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 2:2 | 1:0 | 2:0 | 8:5 | 10 |
| 2 | მანჩესტერი | 09.12 | | 3:3 | 5:0 | 19:10 | 9 |
| 3 | ბარსელონა | 1:2 | 3:3 | | 2:0 | 9:9 | 5 |
| 4 | ბრონდბიუ | 2:1 | 2:6 | 09.12 | | 4:16 | 3 |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | 1:1 | 2:1 | 3:1 | 8:6 | 8 |
| 2 | ლანსი | 09.12 | | 1:0 | 1:1 | 4:3 | 8 |
| 3 | პანათინაიკოსი | 2:1 | 1:0 | | 09.12 | 5:6 | 6 |
| 4 | არსენალი | 1:1 | 0:1 | 2:1 | | 5:7 | 5 |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაუტერნი | | 1:0 | 09.12 | 3:1 | 7:4 | 10 |
| 2 | ბენფიკა | 2:1 | | 2:1 | 2:2 | 6:7 | 7 |
| 3 | ეინდჰოვენი | 1:2 | 09.12 | | 2:1 | 8:9 | 6 |
| 4 | ჰიკ | 0:0 | 2:0 | 1:3 | | 6:7 | 5 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| დორტმუნდი — აინტარხტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ჰანზა — ჰერტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 28 ნოემბერი | | | |
| ვერდერი — მიუნხენ 1860 | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ვოლფსბურგი — ბოხუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰამბურგი — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბაიერნი — ნიურნბერგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ფრაიბურგი — შტუტგარტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლევერკუზენი — დუისბურგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| 29 ნოემბერი | | | |
| კაიზერსლაუტერნი — შალკე | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| მაინცი — კიკერსი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| კოტბუსი — დიუსელდორფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ზანქტ პაული — ურდინგენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 29 ნოემბერი | | | |
| უნტერჰახინგი — ვატენშაიდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ობერჰაუზენი — ფორტუნა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ულმი — ბერლინი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| გიუტერსლოო — არმინია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ჰანოვერი — ფიურტი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 30 ნოემბერი | | | |
| კიოლნი — კარლსრუე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ჩარლტონი — ევერტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჩელსი — შეფილდ უენსდეი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ქოვენთრი — ლესტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნიუკასლი — უიმბლდონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ასტონ ვილა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| საუთჰემპტონი — დერბი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 29 ნოემბერი | | | |
| მანჩესტერი — ლიდსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| არსენალი — მიდლსბრო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლივერპული — ბლექბერნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| ბარნსლი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 28 ნოემბერი | | | |
| ბირმინგემი — ბრისტოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ბოლტონი — ბერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბრედფორდი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ქრიუ — იფსვიჩი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| კრისტალ პალასი — უოტფორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| გრიმსბი — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| პორტ ვეილი — ტრანმერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შეფილდ იუნაიტედი — სანდერლენდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტოკპორტი — პორტსმუთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ნორვიჩი — ოქსფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ლე ავრი — ოსერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| რენი — ნანტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ბასტია — ლიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სტრასბური — მონაკო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ტულუზი — სოშო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლორიანი — ნანსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მეცი — მონპელიე | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ბორდო — ლანსი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარსელი — პსჟ | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 29 ნოემბერი | | | |
| ბარი — ფიორენტინა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბოლონია — იუვენტუსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ემპოლი — ვიჩენცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ინტერი — სალერნიტანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ლაციო — რომა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| პარმა — მილანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| პერუჯა — პიაჩენცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უდინეზე — კალიარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვენეცია — სამპდორია | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ტორინო — ატალანტა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ვერონა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| ჩეზენა — რეჯანა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| კიევო — ნაპოლი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| კოზენცა — პესკარა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ფ. ანდრია — რეჯინა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| ჯენოა — ტრევიზო | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ლუკეზე — კრემონეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| მონცა — რავენა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ტერნანა — ლეჩე | 2,5 | 2,7 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ვილიარეალი — ალავესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვალიადოლიდი — დეპორტივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბილბაო — მალიორკა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ბეტისი — ტენერიფე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სარაგოსა — ოვიედო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| რასინგი — სოსიედადი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ესტრემადურა — ესპანიოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| რეალი — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სელტა — ვალენსია | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ლას პალმასი — ორენსე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ტოლედო — ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბარსელონა B — ოსასუნა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ერკულესი — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ალბასეტე — ბადახოსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ეიბარი — მერიდა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — რეკრეატივო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| მალიორკა B — სევილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ატლეტიკო B — კომპოსტელა ($15^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რაიო ვალეკანო — ნუმანსია ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლოგრონიესი — ლეიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| სპორტინგი — ლეირია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 2,8 | 2,3 |
| 29 ნოემბერი | | | |
| შავეში — ბრაგა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| აკადემიკა — სალგეირუში | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| ამადორა — ბოავიშტა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რიუ ავე — ალვერკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბეირა მარი — გიმარაეში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ფარენსე — მარიტიმუ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კამპომაიორენსე — ბენფიკა | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 30 ნოემბერი | | | |
| სეტუბალი — პორტუ | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| კამბური — სიტარდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| როდა — მაასტრიხტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ნაიმეგენი — ვალვაიკი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| 28 ნოემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — გრააფსხაპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 29 ნოემბერი | | | |
| სპარტა — ფეიენოორდი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| უტრეხტი — ტილბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვიტესი — აიაქსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-15) | 25 და ნაკლები | 1,9; | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (მე-15) | 25 და ნაკლები | 1,9; | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (მე-16) | 21 და ნაკლები | 1,9; | 23 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-11) | 23 და ნაკლები | 1,9; | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-12) | 26 და ნაკლები | 1,9; | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-13) | 22 და ნაკლები | 1,9; | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-16) | 26 და ნაკლები | 1,9; | 28 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (მე-14) | 24 და ნაკლები | 1,9; | 26 და მეტი | 1,9 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| ლოკერენი — სტანდარდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 28 ნოემბერი | | | |
| სტ. ტრუიდენი — შარლერუა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლომელი — კორტრაიკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ანდერლეხტი — გენკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლიერსი — ოსტენდე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ეკერენი — ბევერენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბრიუგე — მუსკრონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,6 |
| ჰარელბეკი — გენტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| აალსტი — ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| ადანა — გაზიანთეფი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 28 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ქოჯაელი ($14^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ისთანბული — დარდანელი ($16^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ქარაბუქი — ანკარა ($16^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტრაბზონი — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| 29 ნოემბერი | | | |
| სამსუნი — ანთალია ($16^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გენჩლერბირლიგი — ალთაი ($16^{00}$) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ფენერბაჰჩე — ბურსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| გალათასარაი — ბეშიქთაში | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| აბერდინი — დანდი იუნაიტედი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სელტიკი — მოზერველი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| დანფერმლაინი — კილმარნოკი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### შოტლანდიის ლიგის თასის ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29 ნოემბერი | | | |
| რეინჯერსი — სტ. ჯონსტონი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| ტიროლი — ზალცბურგი | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 28 ნოემბერი | | | |
| აუსტრია — შტურმი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| გრაცერი — შტაირი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ლუსტენაუ — რიდი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ლინცერი — რაპიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 ნოემბერი | | | |
| ბაზელი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სერვეტი — იანგ ბოისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| 29 ნოემბერი | | | |
| ქსამაქსი — გრასჰოპერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლუცერნი — სენტ გალენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ციურიხი — ლუგანო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| არაუ — სიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიოში)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 დეკემბერი | | | |
| რეალი — ვასკუ და გამა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

## ჰოკეი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 ნოემბერი | | | |
| ბოსტონი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ფილადელფია — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| პიტსბურგი — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დეტროიტი — ვანკუვერი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სენტ ლუისი — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ნეშვილი — ანაჰაიმი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კალგარი — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 28 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — ოტავა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| მონრეალი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| აილენდერსი — კაროლინა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — ბუფალო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| სენტ ლუისი — ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კალგარი — ჩიკაგო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კოლორადო — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 29 ნოემბერი | | | |
| რეინჯერსი — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ვანკუვერი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კაროლინა — ანაჰაიმი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — ბუფალო | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| დეტროიტი — სან ხოსე | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ედმონტონი — ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 30 ნოემბერი | | | |
| მონრეალი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# რამდენი მწვრთნელი ჰყავდა საქართველოს ნაკრებს დუბლინში?



გურამ მოდებაძის თქმით, ნაკრების შემადგენლობას ოთხი მწვრთნელი ასახელებდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ საუბარი, რა თქმა უნდა, პრობლემებით დაიწყო. „ძნელია, დაადანაშაულო მოთამაშე, რომელსაც მთელ სეზონში ნორმალურ მინდორზე თითქმის არც უწევს თამაში. რუმინელებთან მატჩში უკანახაზელებმა ელემენტარული შეცდომები დაუშვეს. მიზეზი, უკვე მოგახსენეთ, ნორმალურ მინდორზე უთამაშებლობაა. ლამის მოასფალტებულ მინდორზე ვთამაშობთ, ბუნებრივია, რომ მოთამაშეები დაშავების შიშით ოსტატობას სრულად ვერ ავლენენ. აქედან გამომდინარე, გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენი მორაგბეები შეიძლება სულ გადაეჩვიონ თამაშს. ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით შესანიშნავად გამოვიყურებოდით. რაც შეეხება იმას, უნდა დაგვერტყა თუ არა ჯარიმა, როცა ანგარიში 17:13 იყო, ვფიქრობ, სწორად გადავწყვიტეთ, ის ჯარიმა რომ არ გავითამაშეთ. უპირველესად იმიტომ, რომ არსებობს დაუწერელი კანონი — დასარტყმელი ჯარიმები უნდა დაირტყას. მეორე ის, რომ ჯარიმის შემდეგ მატჩის დამთავრებამდე რჩებოდა 12 წუთი და ეს დრო სავსებით საკმარისი იყო მოსაგებად, თუ კი შეგიძლია, რა თქმა უნდა. მესამეც: რომ არ დაგვერტყა და ვერ გაგვეტანა ლელო? მერე ვიტყოდით, რატომ არ დაარტყაო.

ასეთი შესავლის შემდეგ, ბუნებრივია, დაიბადებოდა კითხვა, თუკი მწვრთნელებმა კარგად უწყოდნენ ბიჭების მომზადების დონის შესახებ, რატომ პირდებოდნენ გულშემატკივრებს მოგებას? ამ შემთხვევაში ცოტა უცნაურად ჟღერს გურამ მოდებაძის პასუხი: „დაპირებები იმიტომ იყო, რომ იქნებ ამით ბიჭებზე ფსიქოლოგიური გავლენა მოგვეხდინა და მათ რაიმე ელონათ.“

შემდეგ მწვრთნელთა პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა. რა გუნდიც უნდა იყოს, მის შედეგებზე პასუხისმგებელი მთავარი მწვრთნელია, ამიტომ არავისთვის ყოფილა მოულოდნელი ბურძგლას მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, შემადგენლობის დაყენება მხოლოდ მისი პრეროგატივა არ ყოფილა. აქ უკვე აქამდე ჩრდილში მყოფი კლოდ სორელის პიროვნება გამოჩნდა.

მწვრთნელის თქმით, შემადგენლობას კონკრეტულ თამაშზე მწვრთნელთა ოთხკაციანი საბჭო ადგენდა. ორი კაცის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მესამე და მეოთხე ვინ იყვნენ, დღემდე უცნობია. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ დაეთანხმა გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე: „შემადგენლობას ორი კაცი აყენებს — კლოდ სორელი და გურამ მოდებაძე, გურამ მოდებაძე და კლოდ სორელი, ხან ერთი თანამიმდევრობით, ხან მეორეთი. ამ ბოლო დროს უფრო ხშირად პირველი ვარიანტით, მაგრამ არც ერთ მორაგბეს არ იძახებენ გურამ მოდებაძესთან შეუთანხმებლად. სხვა არავინ არის, ვინც შემადგენლობის შერჩევაში მონაწილეობდა.“ საკითხის აგრერიგად გადაწყვეტა ბატონ გენმდივანს დღესდღეობით ერთადერთ მართებულ გზად მიაჩნია. ეს თემა კი იმან წარმოშვა, რომ, მავანთა აზრით, ქართველთა ცხრა ნომერი იმ დღეს ძალიან ბევრს სცოდავდა და საინტერესო იყო, მისი შემადგენლობაში დაყენება ვინ გადაწყვიტა. რაც შეეხება შოთა მოდებაძის უთამაშებლობას, მწვრთნელის განცხადებით, იგი დასჯილი იყო.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ბატონები გურამ მოდებაძე და გია ჭუმბურიძე ვერ შეთანხმდნენ — მატჩის წინ კაპიტანი შეცვალეს. მწვრთნელის თქმით, გია რაფავას „გადაყენება“ იმან გამოიწვია, რომ მან ვერ მოახერხა გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, თუმცა თავად ამის წინააღმდეგი ყოფილა: „განა შეიძლებოდა 12 ნოემბერს კაპიტნის გადარჩევა? მე ამას ვერ მოვერიე და ეს ჩემი წაგებაა.“ გენერალურმა მდივანმა კი — მოთამაშეთა სურვილს ხომ ვერ უგულებელვყოფდითო. „ბიჭების უმეტესობას არ სურდა რაფავას კაპიტნობა, ამიტომაც მოვაწყვეთ გამოკითხვა და ხმათა უმრავლესობით კაპიტნად ზურა მჭედლიშვილი დასახელდა.“ თუმცა მწვრთნელი არც ამ საკითხში დაეთანხმა მას: „იქ იყო ორი-სამი კაცი, რომელთაც არ უნდოდათ რაფავას კაპიტნობა. დანარჩენები მხარს მას უჭერდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გამოკითხვის შედეგები საპირისპიროს მეტყველებდა. სამწუხაროდ, მე იმ კრებას არ ვესწრებოდი და მეტს ვერაფერს გეტყვით.“

თავად კაპიტნის დანიშვნა-არჩევის საკითხის მართებულობა ჩვენი გადასაწყვეტი არაა, მწვრთნელმა გუნდში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა გაწონასწოროს, დანიშნოს კაპიტანი თუ მოთამაშეებს აარჩევინოს იგი. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს შეიძლებოდა, შესარჩევი თამაშების შემდეგ მომხდარიყო და სრულიად უმტკივნეულოდაც.

ფრანგული ტურნეს შედეგების შეჯამებისას თითქმის ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა მისი უდიდესი მნიშვნელობა, მობურთალებმა იმ ერთი თვის განმავლობაში შეძლებისდაგვარად აინაზღაურეს ეროვნულ ჩემპიონატში დაკარგული. მასპინძლებს იდეალური პირობები შეუქმნიათ. ჩვენებს საქართველოში რომ გაევლოთ მზადების პერიოდი, შედეგები ორჯერ მეტად სავალალო იქნებოდა, რამეთუ დღევანდელ პირობებში სრულფასოვანი ვარჯიში შეუძლებელია და მათ არც მაღალი კლასის სპარინგ-პარტნიორები ეყოლებოდათ.

რუმინელებთან მარცხის მიზეზებზე აქამდეც არაერთხელ თქმულა, ამიტომაც უპირველესად ის ხარვეზებია აღმოსაფხვრელი, ირლანდიელებთან და რუმინელებთან შეხვედრებში რომ იჩინა თავი. ტრადიციულად თავისუფალი ნახევარმცველის პოზიციაზე მოვისუსტებთ, სამეოთხედელებში [illegible] ჯობესებელია. გუნდში [illegible] ჭები არიან, მაგრამ ისევ და ისევ პირობები არა აქვთ ნორმალური. შერკინების მოთამაშეების უმეტესობა კი ევროპაში ბურთაობს, ამიტომ გუნდში გარკვეული დისბალანსია — შერკინება უკანა ხაზზე გაცილებით ძლიერია. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი სასწრაფოდაა გადასაწყვეტი და უკვე იმასაც ამბობენ, ეს ბიჭები საფრანგეთში ტონგასთან თამაშმდე გაუშვან, რადგან მეტოქეს ძალიან ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს. შერკინებაში კი პრობლემები, არა გვგონია, გაგვიჩნდეს, რადგან ტონგელებს ამ მხრივ საქმე კარგად ვერ აქვთ. რაც შეეხება მატჩების თარიღებს, პირველ შეხვედრას ბორჯღალოსნები თებერვლის ბოლოს სტუმრად გამართავენ. საპასუხოდ ტონგელებს ერთი თვის შემდეგ, სავარაუდოდ, 28 მარტს დავუხვდებით. იმედია, ზოგიერთი პრობლემა იმ დროისთვის გადაიჭრება. სხვაგვარად რუმინეთთან მატჩის დარად დაგვემართება. მერე კი გვიანი იქნება თავში ხელების ცემა. ჯობს, გზა მანამდე დავინახოთ, სანამ ურემი გადაბრუნდება.

**პაატა თოთაძე**



ნაკრებს ორი მწვრთნელი ჰყავდა — ამტკიცებს რაგბის კავშირის გენმდივანი გია ჭუმბურიძე



# ზრდილობის დღე?



იუგოსლავიელები და იტალიელები ერთმანეთს მეოთხედფინალშიც შეხვდნენ და იქნებ ფინალშიც ამათ იომონ

გუშინ იაპონიაში, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო, მე-7 ტურის მატჩები გაიმართა. გაირკვა ის ოთხეული, მსოფლიოს უპირველესი გუნდის სახელისთვის რომ გააგრძელებს ბრძოლას — ბრაზილია, კუბა, იუგოსლავია და იტალია. დანარჩენები ერთმანეთს რაც შეიძლება უკეთესი ადგილებს შეეცილებიან.

კუბა არგენტინას ხვდებოდა. კარიბელები გამარჯვებას ნახევარფინალში გაჰყავდა, ხოლო თუ დამარცხდებოდნენ, ბრაზილია-ესპანეთის შედეგს უნდა დალოდებოდნენ. კუბელებმა საქმე საჭოჭმანოდ არ გაიხადეს და არგენტინელებს მთელი ძალით ეკვეთნენ. თუმცა პირველ პარტიაში ერთი ხანობა სამხრეთამერიკელები 12:10 დაწინაურდნენ, მაგრამ კუბამ შეძლო მობილიზება და ზედიზედ ხუთი ქულა შეიმატა. მეორე პარტია კუნძულელებმა შედარებით იოლად მოიგეს, მესამეში კი კვლავ ბრძოლა იყო, მაგრამ არგენტინამ ვერ შეძლო, მატჩი კიდევ გაეგრძელებინა და სამ პარტიაში დამარცხდა. „ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ. ყველანი ბედნიერები ვართ. იქნებ იუგოსლავიაც დავამარცხოთ და ფინალშიც... თუმცა წინასწარ არ დავგეგმავ. რაც უფრო მაღალ ადგილს მოვიპოვებთ, მით უკეთესი, პროგრამა-მინიმუმი კი უკვე შევასრულეთ“ — თქვა კუბელთა მწვრთნელმა ხუან დიასმა.

მომდევნო თამაშში კი გაირკვა, კუბა ნახევარფინალში მოუგებლადაც რომ გადიოდა — ბრაზილიამ ესპანეთი 3:1 დაამარცხა. ეს ბრაზილიელთა მეათე გამარჯვება იყო ათ მატჩში, რაც ყველა დროის რეკორდია. თან 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ამ ტურნირზე მხოლოდ სამად სამი პარტია დათმეს. ბრაზილიელებმა პირველი ხელი იოლად მოიგეს, სამაგიეროდ, მეორეში ნახევარფინალს მიღმა დარჩენილმა ესპანელებმა იმარჯვეს. თუმცა პირინეელებმა მეტის გაკეთება ველარ შეძლეს და მესამე მარცხი იწვნიეს. ახლა ესპანელები რუსებს, ჰოლანდიელებს და ბულგარელებს მე-5 ადგილს შეეცილებიან. „ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული გვქონდა და ამიტომ ეს მატჩი მომდევნო შეხვედრებისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ. რამდენიმე ახალი ტაქტიკური ვარიანტის დახვეწა გვინდოდა, რაც, ჩემი აზრით, შევძელით კიდეც. ესპანელებმა ჩემზე და, ალბათ, სხვებზეც, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, განსაკუთრებით ზოგი თავდამსხმელი მომეწონა. ნახევარფინალში მათი გაუსვლელობა გამოუცდელობის ბრალია, ასე რომ, მათი სახით მომავალ ტურნირებზე კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე გვეყოლება“ — თქვა ბარზილიელთა თავკაცმა ფილიო ლატარიმ.

ამ გუნდების მერე სარბიელზე კორეელები და კანადელები გავიდნენ. ჩრდილოამერიკელებს მოგების შემთხვევაში მე-5 ადგილისთვის ბრძოლის შანსი ეძლეოდათ, მაგრამ კორეელებმა თავი გამოიდეს და მეორე გამარჯვებით გაიხარეს.

დღის ბოლო მატჩი ოსაკაში ბულგარეთი-იაპონია იყო. კანადელთა მარცხმა ბულგარელები რვა საუკეთესოს შორის მოახვედრა, მაგრამ სლავებმა მასპინძლებს მაინც მოუგეს და ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრები ერთადერთი აღმოჩნდა, მეოთხედფინალურ ეტაპზე ერთი მატჩიც რომ ვერ მოიგო.

თუ ოსაკაში ნახევარფინალისტების ბედი თავიდანვე გაირკვა, სამაგიეროდ, ჰამამაცუში, სადაც მეორე მეოთხედფინალური ჯგუფის შეხვედრები მოეწყო, დღის მთავარი მატჩები ბოლოს გაიმართა.

ჯერ აშშ-მ და უკრაინამ მოუგეს ჩინეთსა და საბერძნეთს და მე-9 ადგილისთვის კანადასა და არგენტინასთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას. მერე რუსები შეერკინენ იუგოსლაველებს. იუგებს პირველ ადგილზე გასასვლელად ერთი პარტიის მოგებაც ყოფნიდათ, რაც მათ რამდენიმე წუთში შეძლეს 15:3. მომდევნო პარტიებში მათ თავი აღარ შეუწუხებიათ და ტურნირზე პირველი მარცხიც იწვნიეს. ალბათ, მსოფლიოში მათი ერთადერთი ქომაგის წყენინებას ისევ წაგება აჯობინეს. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთელმა სლავებმა ჩრდილოელებს მოაგებინეს (თვითონ უკვე პირველ ადგილზე იყვნენ, რუსებს კი ნახევარფინალში გასვლის მცირე შანსი კიდევ ჰქონდათ). „ტურნირზე ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. დღეს ძალების დაზოგვა გადავწყვიტეთ, რათა კუბის დამარცხება შევძლოთ. რომ დაგვჭირვებოდა, რუსეთს მეორედაც მოვუგებდით, ისე, როგორც პირველ ეტაპზე“ — ხომ ხედავთ, მოგაგებინეთო, დაამცირა რუსებს იუგოსლაველთა მწვრთნელმა ზორან გაიჩმა.

თუმცა ამან რუსეთს ვერ უშველა, რადგან იუგოსლავიასავით არც ჰოლანდიამ გამოიდო თავი და იტალიასთან სულ რაღაც 47 წუთში წააგო — 2:15, 7:15, 1:15. „ვიცოდი, რომ მოვიგებდით და ასეც მოხდა. იმედი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს შევინარჩუნებთ“ — იტალიელთა ბრაზილიელმა თავკაცმა პაულო „ბებეტო“ დე ფრეიტისმაც ისე ილაპარაკა, ეჭვიან კაცს აფიქრებინებდა, ჰოლანდიამაც იუგოსლავიის მსგავსად „გააჩუქა“ მატჩიო.

გაგრძელდება თუ არა „ალებ-მიცემობა“ ტოკიოშიც, სადაც დარჩენილი შეხვედრები გაიმართება, ძნელი სათქმელია, მაგრამ მაინც ვიქონიოთ იმედი, რომ კვლავ ვიხილავთ უშელავათო, დაძაბულ ორთაბრძოლებს.

**გაიოზ თალაკვაძე**

## მეოთხედფინალური ჯგუფები

VII ტური

კუბა — არგენტინა 3:0 (15:12, 15:4, 15:12)
ბრაზილია — ესპანეთი 3:1 (15:4, 13:15, 15:5, 15:9)
კორეა — კანადა 3:1 (7:15, 15:9, 15:11, 15:3)
ბულგარეთი — იაპონია 3:2 (10:15, 17:15, 15:12, 13:15, 15:10)
აშშ — ჩინეთი 3:0 (15:11, 15:8, 15:4)
უკრაინა — საბერძნეთი 3:1 (15:3, 12:15, 15:2, 15:2)
რუსეთი — იუგოსლავია 3:1 (3:15, 15:13, 15:5, 15:11)
იტალია — ჰოლანდია 3:0 (15:2, 15:7, 15:1)

## სატურნირო ვითარება

I მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 7 | 7 | 0 | 21:3 | 14 |
| კუბა | 7 | 6 | 1 | 18:8 | 13 |
| ესპანეთი | 7 | 4 | 3 | 17:12 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 14:14 | 11 |
| კანადა | 7 | 3 | 4 | 11:16 | 10 |
| არგენტინა | 7 | 2 | 5 | 11:16 | 9 |
| კორეა | 7 | 2 | 5 | 7:18 | 9 |
| იაპონია | 7 | 0 | 7 | 9:21 | 7 |

II მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 7 | 6 | 1 | 19:4 | 13 |
| იტალია | 7 | 6 | 1 | 18:4 | 13 |
| რუსეთი | 7 | 6 | 1 | 19:8 | 13 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 3 | 12:10 | 11 |
| აშშ | 7 | 2 | 5 | 10:15 | 9 |
| უკრაინა | 7 | 2 | 5 | 8:18 | 9 |
| საბერძნეთი | 7 | 1 | 6 | 6:19 | 8 |
| ჩინეთი | 7 | 1 | 6 | 5:19 | 8 |

*შაბათს ნახევარფინალების ჯერია, კვირას კი ყველა ადგილი განაწილდება.*

მე-9 ადგილისთვის

**არგენტინა — აშშ**

**კანადა — უკრაინა**

მე-5 ადგილისთვის

**ბულგარეთი — რუსეთი**

**ესპანეთი — ჰოლანდია**

პირველი ადგილისთვის

**კუბა — იუგოსლავია**

**ბრაზილია — იტალია**

EURO BASKET 99

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

24-25 ნოემბერი

| A ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სლოვენია | | 75:71 | 79:66 | 27.02 | 72:61 | 2.12 | 5 | 1 | 477:423 | 11 |
| 2 | გერმანია | 28.11 | | 74:71 | 76:73 | 2.12 | 27.02 | 5 | 1 | 444:416 | 11 |
| 3 | საბერძნეთი | 76:79 | 24.02 | | 92:62 | 77:56 | 28.11 | 3 | 3 | 458:423 | 9 |
| 4 | ბულგარეთი | 79:71 | 61:83 | 2.12 | | 86:82 | 86:70 | 3 | 3 | 447:474 | 9 |
| 5 | ბელგია | 24.02 | 70:72 | 27.02 | 29.11 | | 75:68 | 1 | 5 | 420:463 | 7 |
| 6 | სლოვაკეთი | 70:101 | 66:68 | 73:76 | 24.02 | 88:76 | | 1 | 5 | 435:482 | 7 |

| B ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | | 87:78 | 116:73 | 24.02 | 28.11 | 115:45 | 6 | 0 | 585:436 | 12 |
| 2 | უნგრეთი | 2.12 | | 49:68 | 78:68 | 85:69 | 86:56 | 4 | 2 | 445:408 | 10 |
| 3 | მაკედონია | 89:94 | 27.02 | | 79:72 | 2.12 | 80:52 | 4 | 2 | 476:447 | 10 |
| 4 | პოლონეთი | 75:82 | 60:69 | 28.11 | | 27.02 | 2.12 | 2 | 4 | 442:459 | 8 |
| 5 | პორტუგალია | 76:91 | 24.02 | 64:87 | 81:86 | | 81:64 | 2 | 4 | 442:483 | 8 |
| 6 | რუმინეთი | 27.02 | 28.11 | 24.02 | 70:81 | 70:71 | | 0 | 6 | 357:514 | 6 |

| C ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 24.02 | 28.11 | 80:51 | 101:53 | 86:57 | 6 | 0 | 509:364 | 12 |
| 2 | ისრაელი | 61:67 | | 27.02 | 28.11 | 95:64 | 2.12 | 4 | 2 | 463:408 | 10 |
| 3 | ინგლისი | 76:92 | 68:82 | | 61:88 | 24.02 | 87:70 | 3 | 3 | 424:451 | 9 |
| 4 | უკრაინა | 66:83 | 62:65 | 2.12 | | 27.02 | 66:67 | 2 | 4 | 435:428 | 8 |
| 5 | ბელარუსი | 2.12 | 71:65 | 55:60 | 72:102 | | 66:60 | 2 | 4 | 381:483 | 8 |
| 6 | დანია | 27.02 | 76:95 | 64:72 | 24.02 | 28.11 | | 1 | 5 | 394:472 | 7 |

| D ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | | 28.11 | 72:64 | 27.02 | 88:63 | 2.12 | 5 | 1 | 470:418 | 11 |
| 2 | ბოსნია | 74:67 | | 57:87 | 2.12 | 27.02 | 109:84 | 5 | 1 | 486:470 | 11 |
| 3 | ლიტვა | 24.02 | 66:69 | | 28.11 | 87:77 | 96:71 | 4 | 2 | 488:403 | 10 |
| 4 | ჰოლანდია | 67:79 | 76:81 | 57:88 | | 24.02 | 77:65 | 3 | 3 | 463:486 | 9 |
| 5 | ესტონეთი | 76:82 | 90:96 | 2.12 | 90:99 | | 88:79 | 1 | 5 | 484:531 | 7 |
| 6 | ისლანდია | 74:82 | 24.02 | 27.02 | 83:87 | 28.11 | | 0 | 6 | 456:539 | 6 |

| E ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალია | | 24.02 | 84:60 | 96:84 | 92:81 | 90:43 | 5 | 1 | 496:396 | 11 |
| 2 | თურქეთი | 64:72 | | 27.02 | 28.11 | 65:48 | 2.12 | 5 | 1 | 453:398 | 11 |
| 3 | ჩეხეთი | 29.11 | 67:74 | | 77:69 | 24.02 | 81:74 | 4 | 2 | 452:462 | 10 |
| 4 | ლატვია | 64:62 | 74:84 | 2.12 | | 27.02 | 99:63 | 2 | 4 | 472:469 | 8 |
| 5 | შვედეთი | 2.12 | 64:90 | 93:97 | 87:82 | | 89:85 | 2 | 4 | 462:511 | 8 |
| 6 | საქართველო | 27.02 | 73:76 | 68:70 | 24.02 | 28.11 | | 0 | 6 | 406:505 | 6 |

# სტეფანია რომ მიდიოდა, ზიდეკი მოდიოდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

რადგან ცენტრებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, ირაკლი ჯაფარიძეზეც არ ვთქვათ. ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი ხომ სწორედ ის იყო, თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ირაკლიმ მოედანზე მხოლოდ 19 წუთს დაჰყო, რაც ყველაზე მეტად ისევ და ისევ ზიდეკის „დამსახურებაა" — გამოცდილმა ჩეხმა ჯაფარიძეს მეტი აღარ დაანება და ხუთი პერსონალურით ნაადრევად ჩამოიშორა. აქ კი ერთიც უნდა აღინიშნოს. მოთამაშე რომ სრულ ტაიმსაც ვერ ითამაშებს და მაინც საუკეთესოა, ამაში „წვლილი" სადღაც მწვრთნელებსაც მიუძღვით და სავარაუდოა, რომ ჯაფარიძის უნარი და პოტენცია კონკრეტულ მატჩში არასწორად იქნა გამოუყენებული. ოქმშიც ხომ ჩანს, რომ ირაკლი შეტევაში შეუდარებელი იყო (ცენტრისთვის უჩვეულოდ, სამიდან ორი 3-იანიც ჩააგდო), ამიტომაც, დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, მეტ თავისუფლებას ითხოვდა და ასე რომ ყოფილიყო, არც ხუთ ჯარიმას (ნაადრევად) აიკიდებდა.

ახლა დროა, გამთამაშებლებზეც ვთქვათ. ჟლენტიც და აბრამიძეც მოსეშვილის ნაკრებში პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდნენ, აქედან გამომდინარე, მათი პასუხისმგებლობაც ერთი ორად იზრდებოდა და წარმატებული გამოსვლა (ისევე, როგორც წარუმატებელი) მათ სანაკრებო კარიერაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებდა.

ძნელია, ამ ბიჭების გარჯა შეაფასო, როცა თავად მატჩი არ გინახავს, მაგრამ ორიოდ სიტყვის თქმა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობითაც შეიძლება. დებიუტანტობის კვალობაზე მათ საკმაო ხანს მოუხდათ მოედანზე ყოფნა. აბრამიძემ თითქმის შეუცვლელად (37 წუთი) ითამაშა, ჟლენტმა კი 21 წუთი, რაც თავის გამოსაჩენად სრულიად საკმარისია. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელებს ექსპერიმენტებიც მოუსინჯავთ და ორივე გამთამაშებელი ერთდროულად დაუყენებიათ. ეს მოსეშვილს, ალბათ, მატჩის მსვლელობამ უკარნახა, რადგანაც მას შემდეგ, რაც ქართველებმა პირველ ტაიმში დაჯაბნეს მეტოქე (42:32 მოიგეს), თამაშის განახლებისთანავე ჩეხებს აუწყვეტიათ და სავარაუდოა, მწვრთნელმა შეგირდებს ბურთის დიდხანს დაჭერა მოსთხოვა, რაც დალაგებული შეტევების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

თავისთავად ამ დროს ბევრი იქნებოდა დამოკიდებული ჟლენტსა და აბრამიძეზე, რომელთაც მსგავსი შეხვედრების წარმართვის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. ეს, თავის მხრივ, ემოციებსაც გამოიწვევდა და თამაშის ხარისხზეც იმოქმედებდა, რადგან ამას მნიშვნელოვანწილად სწორედ გამთამაშებელი განაპირობებს.

პირველ ნომრებზე საუბარს აქ დავამთავრებთ. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ არა გვგონია, მათი თამაში მწვრთნელებმა დადებითად შეაფასონ. ამის მაგალითად ისიც გამოგვადგება, რომ ორივემ ერთად სულ ათი 3-იანი ისროლა, ჩაგდებით კი ორი ჩააგდო.

ის, რომ ფარი აშკარად დავთმეთ, ზემოთაც ვთქვით. ტრავმამოშუშებულ ვატო ნაცვლიშვილს კი მოუნდომებია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, თანაც ბერძენიშვილს უჩვეულოდ ცოტა, მხოლოდ ათი წუთი უთამაშია, სულ სამი ქულა გაუკეთებია და ფარზე ერთი ბურთის მეტი ვერ აუღია. ეს იმ დროს, როცა ქარაბაკმაც გვიმტყუნა და ისრაელურ შეკრებაზე მიღებული ტრავმის გამო საერთოდ ვერ შეძლო თამაში.

მართალია, ქართველებმა პირველი ნახევარი ათი ქულით მოიგეს, რაც ერთგვარად მოულოდნელიც იყო და ბუნებრივია, დიდი ჯაფის შედეგი, მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ თამაში ორტაიმიანია და მეორე ნახევარი ჩვიდმეტი ქულით დათმეს. აქედან დასკვნა: 1) მათ ფიზიკური მომზადება არ ეყოთ; 2) ჩეხები ჩვენთან თამაშს არასერიოზულად მოეკიდნენ და რომ ნახეს, ასე არაფერი გამოსდიოდათ, მერელა ამოქმედდნენ. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ, რადგან ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულებით ქართული კალათბურთის პრესტიჟი ილახება, თანაც ვერც ჩეხებს დავწამებთ არაპროფესიონალიზმს.

დაბოლოს. ნაკრებმა, მართალია, წააგო, მაგრამ არა სამარცხვინოდ, რაც ბოლო ხანს ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა. ღირსეული წაგება კი მომავალი ბატალიებისთვის იმედიანად განგვაწყობს. ბიჭებმა დაგვანახეს, რომ ბრძოლა ყველასთან შეუძლიათ.

28-ში სპორტის სასახლეში შვედეთს გავეჯიბრებით. აი, აქ კი უეჭველად უნდა მოვიგოთ.

**გიორგი გიქაშვილი**

REUTERS



შვედეთი — თურქეთი. შვედი პერ სტრიუმერი (ბურთით) ოთხშაბათს თურქებს უტევდა, ხვალ ჩვენთან შეეცდება იგივეს

### A ჯგუფი

**სლოვენია 79:66 საბერძნეთი**

სლოვენია: დანეუ (15), დუშრაკი, გორენცი, იაგოდნიკი (9), იურკოვიჩი (6), კრალევიჩი, მაკრისი (ნესტეროვიჩი) (20), ტოვორნიკი (5), ტუშეკი (8), ზდოვცი (16)

საბერძნეთი: ალვერტისი (18), ბუდურისი (1), ეკონომუ (10), კარაგუტისი, კორონიოსი (9), ლიადელისი (4), პაპანიკოლაუ (7), რენციასი (7), სიგალასი (5), ცაკალიდისი (5)

**ბულგარეთი 61:83 გერმანია**

ბულგარეთი: დ. დიმიტროვი (13), ჰ. დიმიტროვი (2), კოსტურკოვი (6), მინჩევი (5), ნატოვი (9), პეტროვი (2), რავუცოვი, სტოიკოვი (24), ველჩევი

გერმანია: არიგბაბუ (12), ბოგოევიჩი (7), ფემერლინგი (6), გნადი (8), მახოვსკი (12), ნოვიცკი (21), ნიურნბერგერი, როდლი (8), ტომიჩი (9), ვუხერერი

**სლოვაკეთი 88:74 ბელგია**

სლოვაკეთი: ბოჰუნიცკი (4), იაკაბოვიჩი (14), ლოვიკი (15), მიხალიკი (10), მიჩუდა (16), პეტრუშკა (29), ვიმერი

ბელგია: ბაიერი (5), კლეიმანსი (11), დე სევერი (11), დიუპონი (5), გუტალსი (12), ჰერმანი (8), ჟომინი (8), კალუტი, სტრიულენსი (16), ვან დორპე

### B ჯგუფი

**პორტუგალია 81:64 რუმინეთი**

პორტუგალია: ანტუნეში (12), აზევედუ (14), ბრიტუ, მორეირა (2), დიასი (13), მარკეში (16), მაჩედო (2), გომეში (2), ოლივეირა (14), პაისი (6)

რუმინეთი: აილენეი (2), კ. ალეკუ, დ. ალეკუ, აპოსტოლი, ბიკოვი (10), ბურლაჩუ (4), ლაპუსტე (20), მოკანუ (4), ტენტერი (20), ტოადერი (4)

**უნგრეთი 78:68 პოლონეთი**

უნგრეთი: ბენცე, ბოროში (6), ციგლერი (4), დავიდი (11), გულიაში (24), ჰალმი (7), კალმანი (5), მერეცი (3), შიტკუ (18)

პოლონეთი: ბაკინი (10), დრიია (12), იანკოვსკი (3), პლუტა (11), სიდორი (11), შჩესნიაკი (2), შიბილსკი (5), ვილანგოვსკი (7), ვოიჩიკი (10), ზიელინსკი (8)

**მაკედონია 89:94 რუსეთი**

მაკედონია: ბლაჟევსკი (10), ბოჩევსკი (4), გეჩევსკი (17), კნიაზევი, კურტოვიკი (3), მიჰაილოვსკი, ნაუმოსკი (36), სტანკოვიკი (11), სტეფანოვი (8)

რუსეთი: დომანი (3), კარასიოვი (24), კისურინი (5), ნოსოვი (14), ზ. პაშუტინი (15), პანოვი (15), პეტრენკო (18)

### C ჯგუფი

**ბელარუსი 71:65 ისრაელი**

ბელარუსი: ბოიდაკოვი (9), კორშუკი, კული (11), კუზმინი (10), კრივონოსი (5), მეშჩერიაკოვი (23), მისიუტჩენკო (2), პინტიკოვი, სვეტნიკი (11)

ისრაელი: კოენი (5), გუდესი (12), ჰენფელდი (6), კაცი (10), მუხტარი, საფარი (2), შეფერი (5), შტეინჰაუერი (23), თორჯმანი (2)

**ესპანეთი 80:51 უკრაინა**

ესპანეთი: ანგულო (18), კორალესი (4), დე ლა ფუენტე (11), დე მიგელი (1), დუენიასი (3), ერეროსი (7), პარაისო (5), რეიესი (20), როდრიგესი (9), რომერო (2)

უკრაინა: ბაზელევსკი (14), იაილო (8), ხოლოპოვი (2), ლოხმანჩუკი (3), მედვედენკო (2), მურზინი (2), ოკუნსკი (4), რუბჩენკო, რიჟოვი (2), ვოლკოვი (14)

**ინგლისი 87:70 დანია**

ინგლისი: ამაეჩი (21), ბეტსი, ბაკნელი (20), კარტერი (12), ჩუნგი (7), ჰანსელი (3), ჰასლემი, პერიმენი (2), ჰიუგინსი (15), ვილიამსი (7)

დანია: ანდერსენი (17), ბაეკი (2), ბიერეგაარდი (7), ჰაუგე (5), ჰიორტი (8), იენსენი (4), იერიხოვი (13), ლარსენი (10), ჰ. პედერსენი, ტ. პედერსენი (4)

### D ჯგუფი

**ბოსნია 57:87 ლიტვა**

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (7), აიდინი (8), ბეკირი (2), ფირიჩი (2), კაპრამანოვიჩი, კორლატოვიჩი, ლერიჩი, მარკოვიჩი (16), მირკოვიჩი (4), მუეძინოვიჩი (18)

ლიტვა: ადომაიტისი (2), ეინიკისი (15), იასიკევიჩუსი (10), მასიულისი (3), მასკოლიუნასი (5), საბონისი (23), შტომბერგასი (19), ვაიშვილა (2), მ. ჟუკაუსკასი (8)

**ესტონეთი 76:82 ხორვატია**

ესტონეთი: კრიისა, კულამი (11), კუუსმაა (19), ლიივაკი (2), მიუურსეპი (26), ნოორმეტსი (7), პარნი, პეჰკა (11), რუმა

ხორვატია: გირიჩეკი (1), გრგატი, კომაზეცი (33), მრშიჩი (12), მულაომეროვიჩი (16), ბატაკი (10), ზადრავეცი (10)

**ჰოლანდია 77:65 ისლანდია**

ჰოლანდია: ბენეში (10), დე ფუგდი (2), ჰამინკი (7), ჰაინენი (3), ჰიუბენსი (10), კრიგერი (11), ნაჰარი (11), ვან დენ ბროკი (5), ვან დერ სლუისი (18), ვან რუტსელაარი

ისლანდია: არნარსონი (7), ბრაგასონი (15), გუდფინსონი (7), ფ. ჰარდარსონი (5), ჰ. ჰარდარსონი, ჰაუკსონი (21), ინგვარსონი, ორლიგსონი (10), სტეფანსონი

### E ჯგუფი

**ჩეხეთი 81:74 საქართველო**

ჩეხეთი: ბეჩკა (3), ჩუდეკი (6), კლაპეტეკი, ოკაჩი (15), სტანეკი (5), შტუხლი, ტრემლი (11), ვაჰალა (7), პ. ველში, ზიდეკი (34)

საქართველო: აბრამიძე (7), ბერძენიშვილი (3), ბოისა (3), ჩხეიძე (12), ჯაფარიძე (22), ჟლენტი (5), გ. ნაცვლიშვილი, ვ. ნაცვლიშვილი (18), ვაშაკიძე (4)

**ლატვია 64:62 იტალია**

ლატვია: ბაგაცკისი (16), ბერნატსი (9), ბონდარენკო (6), ლიეპა, შტელმახერსი (4), ვალეიკო (13), ვევაგარსი (8), ვიტოლსი (4), ზეიდაკსი (4)

იტალია: აბიო (9), ბასილე (1), ჩაკიგი (9), დე პოლი (17), დილბლაი (3), გალანდა, მარკონატო (4), მენეგინი (16), მიანი, სკარონე (3)

**შვედეთი 64:90 თურქეთი**

შვედეთი: აულანდერი (3), ბერგსტრიომი (3), ბლომი (3), გერკე (9), ჰაკანსონი (5), ჰ. ლარსონი, პ. ლარსონი (2), ლუნდალი (2), სალსტრიომი (15), სტიუმერი (22)

თურქეთი: ბესოქი (5), ენე (25), ერდენაი (7), გიულერი, ქუთლუაი (12), იოგუჯი (9), სარიჯა (10), თურქჯანი (15), თურქოღლუ (7), ილდირიმი

# ქართველები რობინ ჰუდს ჰგავდნენო

Sport

ჩეხებმა ქართველებთან პირველ ტაიმში დაბნეულებმა, შეშინებულებმა და აღელვებულებმა ითამაშეს. განსხვავებული მეორე ტაიმში ბრწყინვალე დაცვის წყალობით მათ მდგომარეობა გამოასწორეს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მეოთხედ გაიმარჯვეს.

ირჟი ზიდეკის შემდეგ ჩვენს გუნდში საუკეთესო იყო ირჟი ოკაჩი, რომელმაც მატჩის შემდეგ გვითხრა: „ძალიან მძიმედ და ნერვიულად დავიწყეთ. ქართველები კი პირიქით, მშვიდად იყვნენ და ჩვენს შეცდომებს იყენებდნენ. ისინი ძალიან ხისტად თამაშობდნენ, რაშიც მსაჯებმაც შეუწყვეს ხელი".



ჩეხეთი — საქართველო. ბოისა, ვაშაკიძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი და აბრამიძე ირჟი ოკაჩს ებრძვიან

CESKE NOVINY ოპაპადან

ბედად, ჩვენ გვყავს ირჟი ზიდეკი! იგი ყველა მოედანზე მყოფს სჯობდა და რამდენიმე წუთში გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ზიდეკი ფარზე ბრძოლისას შეუდარებელი იყო (17 მოხსნა). მეტოქემის შეჩერებას ჯარიმებით ცდილობდა, მაგრამ ჩვენი ცენტრი საჯარიმოს ხაზიდანაც ზუსტი იყო — 14-დან 12 ჩააგდო. ზიდეკის აზრით: „სასტარტო აღელვება იმის ბრალია, რომ შეთამაშება ვერ მოვასწარით. მე გვიან შევუერთდი გუნდს და კომბინაციების დამუშავება თამაშისას გვიწევდა".

ზიდეკისა და ოკაჩის გარდა გუნდის კაპიტანი პეტრ ტრემლიც გამოირჩეოდა: „გამარჯვება კარგმა დაცვამ მოგვიტანა. შესვენებაზე მწვრთნელმა შეცდომებზე მიგვითითა და დაგვავალა, შეტევებისას ბურთი ცენტრებისთვის მიგვეწოდებინა. ჩვენმა ორივე ცენტრმა გაამართლა — ზიდეკმაც და ოკაჩმაც ჩინებულად ითამაშეს, თუმცა, გავიმეორებ, გამარჯვება დაცვამ მოგვიტანა. მეორე ტაიმში ქართველების შეჩერება მოვახერხეთ".

იმასაც გეტყვით, რომ პირველ ტაიმში ქართველი კალათბურთელები რობინ ჰუდს ჰგავდნენ, იმდენად ზუსტად ისროდნენ.

„სპორტი" პრაღა, 26 ნოემბერი, 1998

NBA

# ახლა ლიგამ ჩაშალა

უკვე თითქმის ხუთი თვეა, რაც ეს დაწყევლილი ლოკაუტი გრძელდება და ამ დროის განმავლობაში გამართული დაპირისპირებულ მხარეთა უამრავი შეხვედრა სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. უკვე ხუთი თვეა, მოქიშპეები –– კლუბების მფლობელები და მოთამაშეები თავიანთ აზრზე დგანან და არაფერს თმობენ. მოლაპარაკებები იმდენჯერ გაიმართა, მხარეებს ემოციები რომ დაეძლიათ, ლოკაუტი დიდი ხნის წინ ჩაბარდებოდა ისტორიას და კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში მოღვაწეთ ამდენ ხანს არ გაუჯანჯლდებოდათ სეზონის დაწყება. ახლა კი ერთთავად იმაზე წუწუნებენ, 52 წლის განმავლობაში ასეთი რამ არ მომხდარაო. ამ თვეების განმავლობაში მხარეებმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ საათობით ლაპარაკის შემდეგ მომდევნო შეხვედრას გეგმავდნენ-ხოლმე.

ასე იყო გასულ პარასკევსაც. კლუბების მფლობელებმა, მოთამაშეებმა და ნბა-ს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მოიყარეს თავი, იმსჯელეს, იბაასეს (12 საათი!) და კვლავ შეთანხმდნენ, შეხვედროდნენ ერთმანეთს შაბათს, 28 ნოემბერს, მაგრამ... ლიგის ბოსებმა ოთხშაბათს დაპირისპირებულ მხარეებს შემოუთვალეს, მოლაპარაკება აღარ შედგებაო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო გაალიზიანა ისედაც ნერვებაშლილი მოთამაშეები. მათი ასოციაციის დირექტორმა ბილი ჰანტერმა, ვინც ამ მოლაპარაკებებში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, აღშფოთება ვერ დამალა — ჩვენი მოთამაშეები ქალაქიდან ქალაქში დაფრინავენ, მოლაპარაკებებს თავს არ არიდებენ, მათი ჩაშლალა გვაკლდაო: „შევთანხმდით, რომ შაბათს ერთმანეთს შევხვდებოდით და მზად ვიყავით, რომ თუ საჭირო გახდებოდა, კვირასაც და ორშაბათსაც გაგვეგრძელებინა მოლაპარაკება."

ასე რომ, კვლავ გადაიდო ამ უზომოდ გაწელილი საქმის მოგვარება. თუ სეზონის გამართვა საერთოდ მოხერხდა, უკეთეს შემთხვევაში გუნდებს 55-60 თამაშის ჩატარება თუ მოუწევთ. მანამდე კი ერთი თვე სჭირდება სავარჯიშო ბანაკებს და წინასაჩემპიონატო თამაშების, მოწყობას მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ არც ერთმა მხარემ არ დათმოს და სეზონი ჩაიშალოს კიდეც.

ირაკლი ფირაშვილი

# 25 პროცენტი ასად ვერ გადაიქცევა თუ...

*ერევანში გამართულ ვაჟ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც სულ ხუთი გუნდი ასპარეზობდა, ყველას აჯობა თბილისის „მაკაბიმ", საქართველოს კადეტთა ნაკრები კი მეოთხე იყო.*

*ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს.*

**— რამ გაფიქრებინათ უმცროსი ასაკის კალათბურთელთა გამოყვანა ვაჟთა ტურნირში, სადაც ჩვენს ბიჭებს ასაკით გაცილებით უფროსი მეტოქეები ჰყავდათ?**

— ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის სამზადისია. ერევნის ტურნირში მონაწილეობა სწორედ ამ მიზანს ისახავდა.

**— როგორ შეაფასებდით ერევანში თქვენი გუნდის თამაშებს?**

— ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული და ყველა პირობა გვქონდა საიმისოდ, რომ ჩვენი შესაძლებლობები გვეჩვენებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მინდოდა ნაკრების წევრების საქართველოს პირველობაზე ერთ გუნდად ეთამაშათ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. საქმე ის არის, რომ კალათბურთელებს თავ-თავიანთი გუნდებს ვერ შეელივნენ. აქედან გამომდინარე ერევანში ჩვენი ბიჭები შეუთამაშებელნი იყვნენ. ამიტომ მათ თავიანთი შესაძლებლობები 25 პროცენტი თუ გამოავლინეს.

**— ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებამდე ალბათ სხვა ტურნირებში გამოხვალთ.**

— რა თქმა უნდა, თუ წარმატება გვინდა, ტურნირებში რაც შეიძლება ბევრჯერ უნდა გამოვიდეთ. 25 დეკემბერს ვაპირებთ თურქეთის ტურნირზე გამოსვლას. ჩვენი კადეტების გარდა მასში მონაწილეობას გეგმავენ საფრანგეთის, იუგოსლავიის, რუსეთისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები. შემდეგ 10 იანვრიდან ბაკურიანში ვაპირებთ შეკრებას, ხოლო იანვრის ბოლოს სირიაში ვიასპარეზებთ.

**— რა პრობლემები გაქვთ გუნდის მზადებასთან დაკავშირებით?**

— ძირითადი პრობლემა მაინც ის არის, რომ ბიჭები საქართველოს პირველობაზე ერთი გუნდის შემადგენლობაში არ გამოდიან და ჩვენ ერთად მზადების საშუალება არა გვაქვს. ტურნირამდე ოთხი-ხუთი დღით ან მთელი კვირით შეკრება შედეგს ვერ იძლევა.

გიორგი ჩაგლეიშვილი



# რეინჯერსმა რუსი მოიცილეს

NHL

25 ნოებერი

**ბუფალო — რეინჯერსი 4:2**

**2:1 1:0 1:1**

**1:0 უორდი 8'29 (6); 2:0 უორდი 12'49 (7); 2:1 გრეივსი 18'11 (7); 3:1 უორდი 34'05 (8); 4:1 შენონი 53'17 (1); 4:2 ნაბლი 56'10 (2)**

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 25 ნოემბერს მოხდა ის, რასაც უკვე ორი წელია, ელოდნენ. ალექსეი კოვალიოვის უხეირო თამაშით გულგაწვრილებულმა რეინჯერსის გენერალურმა მენეჯერმა ნეილ სმიტმა, ბოლოს და ბოლოს, გაყიდა ჰოკეისტი, რომლის მოყოჩალება ნიუიორკელთა ხელმძღვანელებმა ყველანაირად სცადეს — უეინ გრეცკისთან შემხანაგებითაც წააქეზეს და თადარიგში გადაყვანითაც დაემუქრნენ. ისე, ბოლო ხანს კოვალიოვზე ძვირს ვერავინ იტყოდა, მან ძალიან მოინდომა, ტრავმისშემდგომ ორ მატჩში 3 გოლიც მიითვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსი მოთამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ოთხშაბათს კოვალიოვი რეინჯერსსა და პიტსბურგს შორის მომხდარი 5-კაციანი გაცვლის ერთ-ერთი მონაწილე გახდა. მისი და ჰარი იორკის ნაცვლად ნიუიორკელებმა მიიღეს კრის ტეიმერი, შონ პრონგერი და პეტრ ნედვედი, რომელიც მეორე სეზონია, პიტსბურგთან დავობს და ამ კონფლიქტის გამო ერთი ხანობა იჰლ-შიც კი ასპარეზობდა. მართალია, ჩეხი ფორვარდი 1997 წლის პლეი ოფის მერე ჩვეულად, უმაღლეს დონეზე ვერ თამაშობს და სასწაულსაც მისგან არავინ ელოდა, მაგრამ ნედვედი თავდასხმაში არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა და ის, რომ ჰაშეკთან ზედიზედ ოთხი უგოლო შეხვედრის შემდეგ ნიუიორკელებმა „დომინატორის" კარი დალაშქრეს, მისი დამსახურებაცაა (1 პასი). მაგრამ რას იფიქრებდა კოვალიოვის გაყიდვით შვებამოგვრილი ნეილ სმიტი, რომ ბუფალოს ფორვარდი დიქსონ უორდი განსაკუთრებით მოიწადინებდა და სტუმართა დაცვას აბუჩად აიგდებდა. მან პირველი და მესამე შაიბები პარტნიორებთან, მაიკ პეკასა და ვაცლავ ვარადასთან გათამაშებული კომბინაციების შემდეგ გაიტანა, მერე კი მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ გრეცკი და ნედვედი სამივე შემთხვევაში ყინულზე იყვნენ.

**დალასი — ნიუ ჯერსი 2:5**

**0:3 0:0 2:2**

**0:1 როლსტონი 1'02 (3); 0:2 პანდოლფო 3'37 (6); 0:3 ბრილინი 7'28 (3); 1:3 ლანგებრუნერი 44'04 (4); 2:3 ჩამბერსი 47'06 (1); 2:4 ანდრეიჩუკი 50'51 (6); 2:5 სიკორა 57'48 (6)**

მატჩის მე-8 წუთზე მასპინძელთა მწვრთნელი კენ ჰიჩკოკი მიხვდა, რომ თამაში უკვე წაგებული იყო და პირველი მეკარე ედ ბელფორი რომან ტურეკით შეცვალა. ასე მოულოდნელად დაიწყო მატჩი, რომელშიც შინ კარგად მოთამაშე დალასი (+8=1-1) სტუმრად ჩინებულად მოასპარეზე ნიუ ჯერსის მასპინძლობდა, თანაც „ვარსკვლავებს" დაწინაურებული ფინიქსის დაწევა სურდათ. მათ საქებად უნდა ითქვას, რომ ბოლო მესამედში თითქმის შეუძლებელი შეძლეს, ანგარიში შეამცირეს და გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ საბედისწერო კონტრშეტევა გაეპარათ და ანდრეიჩუკმა საბოლოოდ დაასამარა დალასელთა იმედები.

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 5:4**

**0:0 3:2 2:2**

**1:0 საიმონი 20'39 (3); 1:1 ბარნსი 27'22 (10); 2:1 ბონდრა 32'18 (8); 2:2 ბარნსი 35'08 (11); 3:2 ნიკოლიშინი 38'44 (2); 3:3 ბარნსი 41'41 (12); 4:3 ოუთსი 50'30 (6); 4:4 სტრაკა 50'54 (10); 5:4 ბონდრა 56'12 (9)**

კლუბების ბომბარდირების — პიტერ ბონდრას (2+1) და იარომირ იაგრის (3 პასი) ორთაბრძოლა, შეიძლება ითქვას, ფრედ დამთავრდა, მაგრამ თუ სუპერჩეხი ამ ბოლო დროს საპლეიმეიკერო ფუნქციებს უფრო ასრულებს და ჩემპიონატში საუკეთესო შედეგსაც მიაღწია (23 პასი), ვაშინგტონელმა სლოვაკმა გადამწყვეტ მომენტში გაიტანა კარიერაში მე-500 შაიბა. პიტსბურგს ვერც სტიუ ბარნსის საოცარმა სიზუსტემ უშველა, რომელსაც კარიერაში მესამე ჰეთ-თრიქის შესასრულებლად ოთხი დარტყმა (!) დასჭირდა. პიტსბურგს ახალშეძენილები — ალექსეი კოვალიოვი და ჰარი იორკი არ ჰყავდა, თუმცა ვაშინგტონსაც აკლდა სამი მოთამაშე — იან ბულისი (ტრავმა), კრეიგ ბერუბი და რიხარდ ზედნიკი (დისკვალიფიკაცია).

**აილენდერსი — ფილადელფია 4:2**

**1:0 1:1 2:1**

**1:0 იუნსონი 2'07 (5); 1:1 ზუბრუსი 25'20 (1); 2:1 ჩერკავსკი 32'36 (6); 2:2 ლეკლერი 48'23 (13); 3:2 ბერარი 51'57 (3); 4:2 ნემჩინოვი 59'16 (3)**

1996 წლის 2 აპრილიდან მოყოლებული, ფილადელფია „ნასაუ კოლიზეუმიდან" შინ ხელცარიელი მიემგზავრება. „მფრინავები" ამჯერად ახლოს იყვნენ უსიამოვნო ტრადიციის შეწყვეტასთან, მაგრამ მათი შეტევების უმეტესობა ჩაშალა ჩინებულად მოთამაშე ტომი სალომ, რომელმაც 44 დარტყმა მოიგერია. მასპინძელთა მეკარემ განსაკუთრებით დასაწყისში იმარჯვა, როცა სტუმრებმა იერიშით ლამის წალეკეს ნიუიორკელთა დაცვა — პირველ 18 წუთში დარტყმებში მათი უპირატესობა 15:1 გახლდათ. აილენდერსელებმა კი ერთადერთი დარტყმა გოლად აქციეს და დარჩენილ დროშიც თითქმის ყველა შესაძლებლობა (ხუთჯერ მეტობისას სამჯერ გაიტანეს) გამოიყენეს. სამწუხაროდ, მასპინძლებს კვლავ დაუშავდათ საუკეთესო მცველი კენი იუნსონი, რომელმაც წინა ორი მატჩი ტვინის შერყევის გამო გამოტოვა.



REUTERS ტორონტოდან

სხვები თუ მხოლოდ დასრიალებენ, ტორონტოელმა სერგეი ბერეზინმა ფრენაც იცის

**კაროლინა — სან ხოსე 3:0**

**1:0 2:0 0:0**

**1:0 პრიმო 18'13 (9); 2:0 შეპარდი 26'10 (10); 3:0 პრიმო 33'27 (10)**

ბოლო ორ მატჩში დაშვებული შეცდომების შემდეგ უეინ პრიმომ (2+1) კვლავ მოიგო ქომაგთა გული. არტურ ირბეს მიერ დაჩრდილულმა მეკარე ტრევორ კიდმა, რომელიც ამის გამო იშვიათად გადიოდა ყინულზე, სავსებით გაამართლა მწვრთნელთა იმედები (36 მოგერიება და მე-14 შათაუტი). 3 (1+2) ქულა მიითვალა დეივ შეპარდმა, რომელმაც საგოლე სერია 6 მატჩამდე გაზარდა.

**დეტროიტი — ანაჰაიმი 5:2**

**3:0 1:1 1:1**

**1:0 მაკარტი 3'10 (7); 2:0 ფიოდოროვი 6'16 (6); 3:0 ჰოლმსტრიომი 16'27 (5); 3:1 კარია 35'54 (11); 4:1 შენაჰანი 36'33 (11); 5:1 ლარიონოვი 44'14 (2); 5:2 კარია 54'48 (12)**

დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვი რაიმე სიახლით თუ არ გამოაცოცხლე, მუდამ ინერტულია. მას შემდეგ, რაც ეს ფორვარდი სტივ აიზერმანის სამეულში გარემარბის ადგილზე გაამწესეს, მას ზედიზედ მესამე მატჩში გააქვს. ამჯერად რუსმა ჰოკეისტმა ჯერ დერინ მაკარტის (1+2) მიაწოდა ზუსტად შაიბა, მერე კი ეფექტური სოლო რეიდი განახორციელა და, ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტა. სტუმართაგან ტეემუ სელიანეს (1 პასი) დაბრუნებამ მხოლოდ მისი მუდმივი პარტნიორი პოლ კარია გაახალისა, თუმცა ამ შეხვედრაში მწვრთნელებმა ისინი მხოლოდ რიცხვმრავლობაში შეაწყვილეს.

**ფლორიდა — ბოსტონი 0:1**

**0:0 0:1 0:0**

**0:1 სამსონოვი 38'32 (6)**

რიცხვმრავლობის გამოყენება (ამ საქმეში „დათვები" ლიგაში საუკეთესონი არიან) და ბაირონ დაფოს საიმედო თამაში საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, სტუმრებს რომ მოეგოთ. დაფო და აილენდერსელი ტომი სალო 4-4 შათაუტით ჩემპიონატის ლიდერები არიან.

**ნეშვილი — კალგარი 4:3**

**0:0 2:3 2:0**

**0:1 უორდი 24'16 (1); 1:1 იაჩმენევი 26'20 (1); 1:2 იგინლა 34'56 (8); 1:3 შანტცი 36'03 (5); 2:3 პელტონენი 39'26 (5); 3:3 ბუშარი 45'15 (1); 4:3 ფიცჯერალდი 50'23 (4)**

**ტორონტო — ვანკუვერი 5:1**

**0:0 2:1 3:0**

**1:0 ჯონსონი 29'10 (8); 1:1 ოკუანი 31'39 (8); 2:1 ტომასი 35'51 (9); 3:1 მოდინი 40'15 (5); 4:1 იუშკევიჩი 50'58 (2); 5:1 მოდინი 54'54 (6)**

51-ე წუთზე ვანკუვერის მწვრთნელმა მაიკ კინენმა უკიდურეს ზომას მიმართა — რიცხვმრავლობისას მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა (ამ ხერხს ძირითადად ბოლო წამებზე მიმართავენ), დმიტრი იუშკევიჩმა კი ცარიელ კარში გოლი გაუტანა. ისე, ვანკუვერი ბოლო ხანს ფორვარდთა ნაკლებობას განიცდის, ამიტომაც კინენმა ორი მცველი „დააწინაურა" — უზარმაზარი კრის მაკალისტერი (107 კგ, 196 სმ), რომელსაც მოძრაობაც კი უჭირს და სტივ სტეიოსი.

**ედმონტონი — კოლორადო 3:0**

**0:0 2:0 1:0**

**1:0 ბერანეკი 21'32 (7); 2:0 ლინდგრენი 35'41 (2); 3:0 გრირი 58'32 (4)**

კოლორადოს ბომბარდირებს — პეტერ ფორსბერგს და ჯო საკიკს ზედიზედ მეორე მატჩია, შაიბა არ გაუტანიათ და გუნდიც უგოლოდ ამთავრებს შეხვედრებს.

სამველ ლარიბიანი

# სალამიც საკმარისია

REUTERS ჰანოვერიდან



სამპრასისგან გულდაკოდილი კარლოს მოია

ჰანოვერი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება პარდზე დარბაზში. საპრიზო 3,5 მილიონი $

## თეთრი ჯგუფი

I ტური

**ალექს კორეტხა (5, ესპანეთი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 5:7, 6:3, 2:1 ტრავმა**

**პირადი შეხვედრები (აქამდე) — 1:4**

დიდი სლემის ტურნირებზე წარუმატებელი ასპარეზობის გამოსწორებას ანდრე აგასი მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებდა, აქ ყველა საუკეთესო ითამაშებს და საკუთარი ძალის დამტკიცების კარგი შესაძლებლობა მექნებაო. მაგრამ ხოტორა ამერიკელის ამბიციებს ასრულება არ ეწერა — ორშაბათს ალექს კორეტხასთან ვარჯიშისას მან ზურგის ტრავმა მიიღო...

ბედმა ანდრეს მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზეც დასცინა — იგი ჯგუფში ესპანელთან ერთად მოხვდა და თავისი პირველი მატჩის გამართვაც ამ უნებლიე მტერთან მოუხდა. შეხვედრას კი ამერიკელი საზარბიელო ფორმაში ვერ შეხვდა. „ზურგის სპაზმები ჩემს მოძრაობას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. მუდმივად ვგრძნობდი ჩხვლეტას, სუნთქვა, მოტრიალება და წინ დახრა მიჭირდა. გუშინ ხუთი ნემსი გამიკეთეს და ათასნაირი აბები მაყლაპეს. ამან ბევრით ვერაფრით მიშველა, მაგრამ თამაში ძალიან მინდოდა და ვიმედოვნებდი, თუ მატჩის სწრაფად დასრულებას მოვახერხებ, იქნებ ბოლომდე გავძლო-მეთქი“.

ზემოთქმულის მიუხედავად, შეხვედრის დასაწყისი აგასისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა, სამაგიეროდ, კორეტხამ ამჯერად ბადესთან მჯდომი ბურთის მიმტანი ბიჭი კინაღამ იმსხვერპლა — მთელი ძალით დარტყმული ბექჰენდი ზედ შუბლზე დაასვა. ბავშვი კარგა ხანი ისრესდახელით ნატკენ ადგილს და აცრემლებას აღარაფერი უკლდა, თუმცა მედალს მეორე მხარეც აღმოაჩნდა: მასთან ჯერ კორეტხამ მიირბინა ბოდიშის მოსახდელად, მერე ამერიკელმაც მოიკითხა და გაცისკროვნებულმა დაზარალებულმაც ორივეს ჩამოართვა ხელი, (ესპანელს ორჯერ) ცერა თითით ყველაფერი რიგზეაო, ანიშნა და გმირული საქციელისთვის ტაშიც ბლომად ერგო.

აგასის ზურგის ტკივილმა პირველი სეტის ბოლოსვე შეახსენა თავი, მაგრამ დაწინაურება მაინც მოახერხა — ორი სეტპოინტის უნიჭოდ განიავების შემდეგ ამერიკელს ისევ მეტოქე დაეხმარა ორმაგი შეცდომით. თუმცა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს უფრო და უფრო უჭირდა თამაში, იქეთ კორეტხამ თავი გაიგიჟა, ეისების რაოდენობით ორნიშნა ციფრს უწია და მალე ანგარიში გათანაბრდა. 1:2-ზე გადამწყვეტ ხელში კი აგასიმ თეთრი ალამი გადმოფინა: „მატჩი დიდი ხნის დაწყებული არ იყო, ბადესთან მოუხერხებლად მოვიხარე და თითქოს ზურგში დანა ჩამცესო. მოძრაობა თანდათან უფრო გამიჭირდა, ბოლოს კი თამაშის გაგრძელება უაზრო შეიქნა“.

ტრავმის გაუარესების მიუხედავად, ტურნირის ორგანიზატორებს ანდრეს მომდევნო მატჩებში მონაწილეობის იმედი არ დაუკარგავთ, მაგრამ გვიან ღამით ამერიკელმა გადაწყვეტილება მიიღო: „ძალიან საწყენია, რომ ტურნირს ვერ დავასრულებ. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ტრავმას უკეთესობისა არაფერი ეტყობა, ახლა შინ წასვლა და დასვენება მჭირდება, რათა მომავალი სეზონის დასაწყისს მზადყოფნაში შევხვდე“.

კორეტხამ აგასის გადაწყვეტილებას მოულოდნელი უწოდა და მატჩის შემდეგ ბურთის მომტანის გახსენებაც არ დავიწყებია. „ბურთი ბიჭს რომ არ მოხვედროდა, არაჩვეულებრივი დარტყმა გამომდიოდა, მაგრამ მაინც ძალიან მეწყინა, რომ თავი ვატკინე. ბოდიშს ვუხდი მასაც და მის დედასაც, ეს ნამდვილად უნებლიედ მომივიდა.“

ორგანიზატორთა სავალალოდ, აგასისთან ერთად პირველ ტურში ტიმ ჰენმანთან დამარცხებული მარსელო რიოსის შემცვლელის ძებნაც დასჭირდათ. კიკინიანმა ჩილელმა, რომელიც ერთადერთი იყო, ვისაც კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გადასწრების შანსი ჰქონდა, ზურგის ტრავმის მიუხედავად, ჯერ თამაშის გაგრძელება ისურვა, ექიმმა მითხრა, არა გიშავსო, დღეს არ მივარჯიშია, მაგრამ ხვალ რიგზე უნდა ვიყოო, მეორე დღეს კი სიტყვა უკან წაიღო და მის ნაცვლად ორგანიზატორებმა ალბერტ კოსტა მიიწვიეს, აგასი კი ინგლისელი გრეგ რუზეცკით შეცვალეს.

| | თ | მ-წ | სტ |
|---|---|---|---|
| 1. ტიმ ჰენმანი | 1 | 1-0 | 2-0 |
| 2. ალექს კორეტხა | 1 | 1-0 | 2-1 |
| 3. აგასი (რუზეცკი) | 1 | 0-1 | 1-2 |
| 4. რიოსი (კოსტა) | 1 | 0-1 | 0-2 |

## წითელი ჯგუფი

II ტური

**პიტ სამპრასი (1, აშშ) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 6:3, 6:3**

**პირადი შეხვედრები — 1:1**

სანამ მთავარი კონკურენტები იარების მოშუშებასა და თავისი მომავალი მეტოქის ვინაობის გარკვევაზე ზრუნავენ, პიტ სამპრასი წინ მიიწევს.

შარშან ჰანოვერში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ერთადერთი მარცხი სწორედ კარლოს მოიასთან იწვნია, თუმცა „როლან გაროსის“ ჩემპიონმა ამჯერად ვერანაირი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაც მუდმივად უჭირდა.

სამპრასი ისე უძლეველად არ გამოიყურებოდა, როგორც კაფელნიკოვთან შეხვედრაში, რაზეც 8 ორმაგი და ბლომად უნებლიე შეცდომებიც მოწმობს. მაგრამ დანაკლისი ამერიკელმა 13 ეისითა და ბადესთან დროული გასვლებით აანაზღაურა. ამ მატჩს კიდევ უფრო მცირე დროც — საათი და ორი წუთი დაახარჯა და ორი ტურის შემდეგ მარტო ნახევარფინალში გასვლა კი არა, ჯგუფში პირველი ადგილიც გაინაღდა.

„იოლი მოგებებით ისევ საკუთარ თავს ვშველი. მთავარია, მთელი ყურადღება ჩემს თამაშზე გადავიტანო და იმაზე არ ვიდარდო, მარსელოს რა სჭირს. თუმც ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჰენმანთან მისი შეხვედრის დროს ინგლისელს მთელი სულით და გულით ვგულშემატკივრობდი“ — განაცხადა მატჩის შემდეგ სამპრასმა და თან თავის მთავარ მეტოქესთან ურთიერთობასაც გადასწვდა — ჩვენ წესიერად არასოდეს გვისაუბრია, ყველაფერი სალმით მთავრდება. ტურზე ბევრ ჩოგბურთელს ვიცნობ და მათთან არცთუ იშვიათად ვსაუბრობ, მაგრამ მარსელოსთან არასდროს. შეიძლება ეს ენობრივი ბარიერის ბრალია, ან მისი ზედმეტი სიმორცხვის.“

**ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) — კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:2**

**პირადი შეხვედრები — 2:1**

ეს მატჩი წითელი ჯგუფის აუტსაიდერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო — წაგების შემთხვევაში რომელიმე მათგანი ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარ შესაძლებლობას კარგავდა.

რაკილა ძლიერი მოწოდებით და დაუშვებელი ბურთით თამაშით არც ერთი გამოირჩევა, შეხვედრა ძირითადად უკანა ხაზიდან გადაგდებ-გადმოგდების, ერთი კუთხიდან მეორეში სირბილის, საკმაოდ ხშირი შეცდომებისა და არანაკლები შესანიშნავი დარტყმებისგან შედგებოდა.

პირველ სეტში კუჩერა უფრო სავარჯიშო კედელს წააგავდა — სასოწარკვეთილ რუსს ერთი შეხედვით აულებელი ბექჰენდ-ფორჰენდებს თითქოს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თანაც კიდევ უფრო უკეთ უბრუნებდა უკეთ. კაფელნიკოვმა ბადესთან გასვლაც სცადა, შემოკლებულებიც, მაგრამ უშედეგოდ.

წინა დღეს მოიასთან ორსაათნახევრიანი ბრძოლის კვალი სლოვაკს მეორე სეტის შუაში დაეტყო, სირბილს თანდათან უკლო და რუსმაც 3:3-დან ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, გადამწყვეტ პარტიაში 4:0 დაწინაურდა და კუჩერას კიდევ ერთი გაბრძოლების მიუხედავად, ანგარიშის გათანაბრების საშუალება აღარ მისცა.

„მასთან თამაში ძნელია, რადგან, ისევე როგორც მე, უკანა ხაზზე დარჩენა ურჩევნია და ბურთს ძალიან ძლიერად ურტყამს. თამაშის წინასწარ შემუშავებულ გეგმას ცოტა ხანი კი მივდევდი, მაგრამ ზედიზედ 4 გეიმი რომ წავაგე, ყველაფრის შეცვლა მომიხდა“ — აღნიშნა მოგვიანებით რუსმა.

ამ ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზურის ბედს კაფელნიკოვი და მოია პირად შეხვედრაში გაარკვევენ.

| | თ | მ-წ | სტ |
|---|---|---|---|
| 1. პიტ სამპრასი | 2 | 2-0 | 4-0 |
| 2. ევგენი კაფელნიკოვი | 2 | 1-1 | 2-3 |
| 3. კარლოს მოია | 2 | 1-1 | 2-3 |
| 4. კაროლ კუჩერა | 2 | 0-2 | 2-4 |

**ავთანდილ სვანიძე**



**ცნობილი ამბავია, რომ მძიმე წონის გამაერთიანებელი ბრძოლები დიდად სარისკო რამ არის მოკრივეთა პრესტიჟისთვის. გამაერთიანებელი ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ მებრძოლები თავიანთ ქამრებს დებენ სასწორზე და წაგებული უქამროდ რჩება, მოგებული კი ერთბაშად ორი ჯილდოს მფლობელი შეიქნება**

# სამივე ქამარი ერთად?!

ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის შემთხვევაში გამაერთიანებელი ბრძოლა განსაკუთრებული ღირებულებისაა. რინგზე სამი ქამარი დევს: ჰოლიფილდის კუთვნილი — ასოციაციისა (ვბა) და ფედერაციისა (იბფ) და ლუისის კუთვნილი — საბჭოსი (ვბკ).

1999 წლის 13 მარტს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ამ სამი ყველაზე განთქმული საკრივო ვერსიის ქამრები ერთი კაცის ხელში მოხვდება. ამ საღამოს მოუთმენლად ელის კრივის მილიონობით მოყვარული. ამავე საღამოს კრივში დიდი შემობრუნება მოხდება, ვინაიდან გამაერთიანებელი ბრძოლით სულაც არ სრულდება მძიმე წონის ხმაურისა და მძვინვარების (ასე დავარქვათ ბოლო წლების შეხლა-შემოხლას) ამბავი.

მაყურებელთა შორის აუცილებლად იქნება მაიკ ტაისონი, რომელიც გაფაციცებით მოელის ბრძოლის შედეგს. დღეს აღარავინ მალავს, რომ სამივე ტიტულის მფლობელს სწორედ ტაისონთან მოუწევს შერკინება. ლიცენზიადაბრუნებული რკინის მაიკი ამ ზამთარს სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოტას უნდა შეხვდეს. უეჭველია, რომ ტაისონი იოლად გაუსწორდება აფრიკანერ დოყლაპიას, მერე კი... საერთოდ, ტაისონი ყველაზე სასურველი კაცია დღევანდელ საკრივო ბიზნესში ჩართული ხალხისთვის — მას მილიონები მოაქვს. არავის შეუძლია ამდენი ფულის მოზიდვა.

ტაისონისა და მომავალი გამარჯვებულის შესაძლო შეხვედრა მოსალოდნელი და სასურველია, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, დათანხმდება თუ არა ტაისონთან დაჯახებას სამივე ქამრის ფლობელი.

სადღეისოდ, ლუისის ბანაკიდან ასეთი ხმაა გამოსული, რომ ლენოქსს სურს მაიკთან შერკინება, სხვა რომ არა იყოს რა, ჰონორარი ასტრონომიული იქნებაო. თანაც ბრიტანელი ლუისი ამერიკელთა გულში დამკვიდრებას ლამობს, ეს კი ოკეანისგაღმურ საკრივო სამყაროში ძალიან ძნელად ხერხდება.

თუკი ჰოლიფილდი მესამე ქამარსაც მოიგდებს ხელთ, არჩევანის წინაშე აღმოჩნდება. ადრე ამბობდა, როგორც კი სამივე ქამარს შემოვირტყამ, დიდებით მოსილი გამოვეთხოვები კრივსო. ამ ბოლო დროს კი სულ უფრო ხშირად გაიგონებთ, ევანდერს ტაისონთან მესამედ შეყრა განუზრახავსო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მოკრივეები იოლად ივიწყებენ თავიანთ ნალაპარაკევს და საქმე საქმეზე რომ მიდგება, სულ სხვაგვარად აჭიკჭიკდებიან ხოლმე.

„მედისონ სკვერ გარდენი“ კი სიხარულით ემზადება უდიდესი ბრძოლისთვის. ყველაზე იაფი ბილეთი 200 დოლარი ეღირება, რინგის ახლო ადგილზე დაჯდომა კი 1500. ჰოლიფილდს დონ კინგი წარმოადგენს, ლუისს ცნობილი კანტორა „მეინ ივენთზი“. შედეგის მიუხედავად, პირველი 20 მილიონ დოლარს მიიღებს, მეორე — თითქმის 9 მილიონს.

შორიახლოს კი მაიკ ტაისონი დგას და გამარჯვებულს ელის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ჩვენზე კარგი ვინ გაიხდის...

ავსტრალიის სინქრონული ცურვის ნაკრებს ფული შემოაკლდა. მდგომარეობა იმგვარია, რომ სიდნეის ოლიმპიადისთვის ამავე ოლიმპიადის მასპინძლებს ეგებ აღარც ჰყავდეთ წყალში მოცეკვავენი.

გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა 100 ათასი დოლარი დააკარგვინა სინქრონული ცურვის ავსტრალიელ თავკაცებს და ახლა მათი თავმჯდომარე პიტერ იანგი აცხადებს:

„გოგონები გზაგასაყართან დგანან. თითოეულს ოცი ათასი მაინც უნდა გადავუხადოთ, რომ ვარჯიშს თავი არ დაანებონ. მგონი, ჩვენ გამოსავალი ვიპოვეთ“.

ეს გამოსავალი კი ჟურნალი „ფლეიბოი“ ყოფილა, რომელსაც განთქმული და არა მხოლოდ განთქმული ბებიების, დეიდების, ბიცოლების, რძლების და გოგოშკების შიშვლად დაფიქსირების უნარით ვიცნობთ.

„ფლეიბოი“ გვარიან ფულსაც გამოდის ამ საქმეში და ავსტრალიელ გოგოებსაც უთქვამთ, ჯანდაბას, თუ სხვა გზა არ არის, ჩვენზე უკეთესს ვის უნდა გადაუღონ სურათებიო.

ასე რომ, ეგებ კრიზისი დაიძლიოს კიდეც. სინქრონის ქალებს ისედაც არ აცვიათ წულა-მესტა და კოჭებამდე კაბები და დიდი ამბავი, თუ...

# გამაგრდი, ჯო!

ამერიკას არ ჰყოლია ჯო დი მაჯიოზე პოპულარული სპორტსმენი. დი მაჯიო კეტბურთელი იყო, მაგრამ მას კეტბურთის არმცოდნე ხალხიც კარგად იცნობდა.

ერთ დროს ის მსოფლიო ქალის, მერლინ მონროს ქმარი იყო. ერთ დროს პოლ საიმონი და არტ გარფანკელი მღეროდნენ: „საითაც არ უნდა წახვიდე ჯო დიმაჯიო, ერი დაგეძებს სევდიანი თვალებით“. ერთ დროს, ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობებიდან ამოიკითხავდით მის გვარს.

ის თექვსმეტ წელიწადს თამაშობდა კეტბურთს. დღემდე რჩება რეკორდად მისი რამდენიმე მიღწევა. სამჯერ დაასახელეს საუკეთესო კეტბურთელად. ამ დროის განმავლობაში ჯარიც მოიარა და საერთოდაც უპოპულარულეს ამერიკელად აღიარეს.

გუშინწინ, ჯო დი მაჯიოს დაბადების დღე იყო. ის ოთხმოცდაოთხისა შესრულდა და ძალიანაც უნდოდა, რომ ერთი მხიარული ზეიმი გაემართა და თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად ელხინა, მაგრამ ქეიფი არ გამოვიდა. მოხუცი ჯო ჰოლივუდის „ფლორიდა ჰოსპიტალში“ წევს და ფილტვის კიბოს ებრძვის.

ბარათები კი მთელი ამერიკიდან ტომრებით მოდის: „გამაგრდი, ჯო“...

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29